

Ցանկ եռեցորդական

Եսը՝ Շինօնա զահ,
Ուշիւմ...



ზაურ წონქოლაური

სულ შენთანა ვარ, იორო...
ლექსები

თბილისი

2022

რედაქტორები: გარიელ ხარხელაური
ნოდარ ოდიშელიძე
ცოტნე ალბუთაშვილი
მხატვარი ლევან ხარანაული
კრებული შეადგინა ლალი ყარყარაშვილმა

© ზაურ წონკოლაური 2022
© გამომცემლობა მერიდიანი



დაიბეჭდა:

გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47.

☎ 239-15-22

E-mail: meridiani777@gmail.com

ISBN 978-9941-34-226-4



დავიბადე დუშეთის რაიონის სოფელ ხეობაში, ომის შემდგომ პერიოდში, 1948 წელს, როცა ქვეყანა ჭრილობებს იშუშებდა, ექვსი თვის ასაკში მშობლებს თიანეთში წამოვუყვანივარ, სადაც დღესაც ვსახლობთ.

ჩემი დიდი პაპა ხუზაურ წონკოლური, რომლის სახელიც დამარ-ქვეს, მეფე ერეკლეს ახლდა 1795 წელს ომში და იქ გარდაიცვალა.

პაპაჩემი დავით წონკოლაური იყო, რომელსაც თვით ვაჟა-ფშაველა ასწავლიდა წერა-კითხვას იმ დროს, როდესაც მასწავლებლად მუშაობდა ვაჟა ტოლაანთსოფელში (თიანეთის რაიონი). პაპა 1971 წელს გარდაიცვალა.

მამა – კიმოთე წონკოლაური, დიდი სამამულო ომის მონაწილე, მფლობელი იყო ჯუზეპე გარიბალდის მეორე ხარისხის ორდენისა, რადგანაც გერმანიდან, ტყვეობიდან თავის დაღწევის შემდეგ ორი წლის განმავლობაში იტალიაში იბრძოდა, იქაურ პარტიზანებთან

ერთად, ფაშიზმის წინააღმდეგ. შემდეგ რეპრესირებული იყო ოჯახთან ერთად, სამხრეთ ყაზახეთის ოლქში, სამი წელი.

დედა – სონა ობგაიძე იყო საშუალო განათლებით, თიანეთის რაიონის სოფელ მაგრანეთიდან.

მე განათლებით ზოოინჟინერი ვარ. დავამთავრე საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტი. ვმუშაობდი მუშად, შემდეგ ხელმძღვანელ თანამდებობებზე, ძირითადად სოფლის მეურნეობაში. დავოჯახდი 1970 წელს, მყავს ორი ვაჟი და სამი შვილიშვილი.

მეუღლე – მანანა აბრამიშვილი პედაგოგია, უმაღლესი განათლებით.

* * *

ლექსების წერა ბავშვობიდან დავიწყე, რატომლაც არ მიმაჩნდა საჭიროდ რომ ჩემი ნიჭი გამომეჩინა, სახელისათვის ლექსი არ დამიწერია, ვუკითხავდი მეგობრებს, რომელთაც ზედმეტსახელად „კვესა“ შემარქვეს. მათი რჩევით და ძალდატანებით მონაწილეობა მივიღე 2011 წელს დამბალი ხაჭოს ფესტივალში „მადლი ფშაური მიწისა“ ლაურეატის წოდება და პირველი პრემია დავიმსახურე, აგრეთვე 2015-2016 წლებში საქართველოს ეროვნული ფოლკლორული ფესტივალის ლაურეატის წოდება მივიღე, 2017 წელს წმინდა ილია მართლის გაზეთ „ივერიის“ სახელობის პროზა-პოეზიის ფესტივალის მთავარი პრიზის მფლობელი გავხდი.

ახლა კი გავბეჭე წიგნად გამომეცა ბოლო ათი წლის ჩემი ნამუშევრები. აյ თავმოყრილია როგორც გალექსებანი, ასევე დამოუკიდებელი ლექსები.

ბოლიშს გიხდით მჟითხველო, თუ ვერაფერი მოგაწოდეთ ისეთი, როგორსაც თქვენ იმსახურებთ.

შეუნდეთ ავტორს, ის გულწრფელია თქვენს წინაშე.

**პატივისცემით
ზაურ წონაოლაური**

* * *

საბეჭნიეროდ თუ სამწევაროდ ტექნიკურმა განვითარებამ ხალხურ ჰოზიაზეც მოახდინა გარკვეული გავლენა. სიახლის წინააღმდეგი არასდროს ვყოფილვარ, ზოგიერთ მიმდინარეობას უხდება კიდევ, სძენს შნოსა და იერს, მაგრამ არა ხალხურ ზეპირსიტყვიერებას. ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეიქმნა ყველანაირად სრულყოფილი სახე ტრადიციული ხალხური აზროვნებისა, რომელზეც უარის თქმა არ იქნება გამოსადეგი მომავლისათვის და მითუთო დღევანდელი დღისთვის. ეს გონიერი, ცოცხალი ორგანიზმია ხალხური აზროვნებისა, რომელსაც თავისი კალაპოტი აქვს და ერთი თუ აქედან ამოვარდა, მერე ბევრიც რომ ვცადოთ, ველარისდროს მოვაქცევთ ძველ სადინარში.

საბეჭნიეროდ არიან ავტორები, რომელნიც არც სიახლეზე ამბობენ უარის, რადგან მართვა სიახლისა მათთვის სიძნელეს არ წარმოადგენს. ერთ-ერთზე და საბეჭნიეროდ არა ერთა-დერთ ავტორზე ახლა ვაპირებ საუბარს, შეიძლება შეფასებისას ვიყო სუბიექტურიც, მაგრამ გონიერება ჩემი მეგობრის, ზაურ წონქოლაურისა, ჩემს სუბიექტურობას უხერხელ მდგომარეობაში არ ჩააგდებს, არც შენთან მექნება საბოლიშო, მისი ჰოზიის მკითხველო. ამაში ჩემს დაუხმარებლადაც იოლად გაერკვევით და ირწმუნებთ, თუ, როგორ ასტატურად შეაქვს თავისი დროის სუნთქვა, რომ ძველს არაფერი დააკლოს. როგორ ფრთხილად ეკიდება, როგორ ეფერება თითოეულ სტრიქონს, როგორ უმტკივნეულოდ ამჟამიდრებს თავის ხმას, ისე, რომ არ გადაუხვიოს მამა-პაპათ; თავისი დიდი წინაპრების, გენიალური, არ მეშინია ამ სიტყვის, მთქმელების გზიდან. ესაა ზაურ წონქოლაურის ღირსებაც და სწორედ ასე-თი ავტორების წყალობით, როგორიც ზაურ წონქოლაურია

ცოცხლობს ხალხური ზეპირსიქუვიერება, გვირგვინი ხალხური აზროვნებისა.

სშორედ ამ წიგნის გამოცემის მიზანიც ისაა, რომ შენც მყითხველო და თქვენთან ერთად მეც, დავრჩმუნდეთ, რომ ხალხური, თუმცა ხალხური ამ შემთხვევაში პირობითი ცნებაა, რადგან, ეს წიგნი და პოეზიაც ჯერ მხოლოდ ზაურ წონქოლაურისაა, მისი საუთორებაა და რა თქმა უნდა არ იქნება წინააღმდეგი თუ ხალხში გავა, ხალხში იტრიალებს, მათ გონებაშიც გააჩენს საფიქრალს და იმ ტკივილსაც, რომელიც ამ პატარა წიგნის ავტორს სტანჭავს და მოსვენებას არ აძლევს.

**პატივისცემით
ტარიელ ხარხელაური**

* * *

ცხოვრების მზე საშუალეოს იყო გადაცდენილი, ზაურ წო-
წეოლაური რომ გავიცანი.

ერთმანეთის სალაურობა მოვიყითხეთ და ლექსზე დავიწყეთ
საუბარი. სხვა რაზე უნდა გვესაუბრა, ტარიელ ხარხელაურის შე-
მოქმედებითი სალამო ტარიებოდა. ხალხურ ცეკვაზეც ვისაუბ-
რეთ, „ლექსს საოცრად მორჩებული“ ფშავ-ხევსურულ კილოს
შევეხეთ, გავიხსენეთ ბევრი ლექსი და მელექსე.

არ გამჟვირვებია მისი ღრმა წვდომა ხალხურის ნიუანსებ-
ში – ფშაველი ხომ ლექსთან წილნაყარია ენის და ფეხის ად-
გმისთანავე. ზაურის შემოქმედებას კი ჯერ არ ვიცნობდი და
ისე დავემშვიდობეთ ერთმანეთს, საკუთარ ლექსზე არაფერი
უთქამს.

საერთოდ ასე ხდება – ჯერ ლექსი მოდის შენთან და შემ-
დეგ ჩნდება ავტორის გაცნობის სურვილი. ჩვენთან სხვანაირად
მოხდა – თავმდაბალ მელექსეს ისე დავემშვიდობე, როგორც
„ლექსის მოყვარულ“ ფშაველს. ხოლო როცა მის შემოქმედე-
ბას გავეცანი, გაოცებული დავრჩი მოკრძალებული ავტორის
სიტყვის სიძლიერით.

სამშობლოს ნარსული და აწმყო, დაცლილი სოფლების
ტკივილი, ადამიანური ურთიერთობები, ამქვეყნიური ცოდ-
ვა-მატლი... ესაა ზაურის სანიათაგო საფიქრალიც და ლექ-
სის თემაც. სწორედ ამიტომ არის, რომ „კიდევ ერთხელ“ წა-
კითხვის სურვილი გიჩნდება მისი შემოქმედების გაცნობისას.

... ცხოვრების ნაშუალევს „ერთი ფუთი მარილის შეჭმას“
აღარ დაგაცდის არსთაგამრიგე. ამიტომაც გულს ვენდეთ და
მეორედ უკვე მეგობრებად შევხვდით ერთმანეთს. აქედან

დაინტერესული ჩვენი „სალექსო სიამტკბილობაც“ და მისი სიტყვის ძალა საკუთარ თავზე არაერთხელ გამოვცადე.

გალექსებაშიც დიდებულია – პაექტობს ლალად, ძალაუტანებლად, დახვეწილი იუმორით, არ იყენებს „ყურში არჩასაშვებ“ სიტყვებს (უამისოდაც სათქმელს არაფერს ტოვებს) – „ეგ ლექ-სით ლანძლვა კი არა, ლექსის ლანძლვააო“, ამბობს და ფეხაუც-დენლად მიუყვება ხალხური სიტყვის მსახურების ბილიკს.

მკითხველის გულისკენ მიმავალ გზას ვულოცავ ზაურის ლექსებს. ვინც იცის ალალი, გულიდან ამოხეთქილი სიტყვის ფასი, ჯეროვნად დააფასებს მის შემოქმედებას.

პატივისცემით
ნოღარ ოდიშელიძე

* * *

კვესა... ამ სახელითაა დღეს ცნობილი მეგობრებსა და ხალხური პოეზიის მოყვარულთა წრეებში ზაურ წონქოლაური, ფშავში გამორჩეული გვარის კაცი.

მამა-კიმოთე, მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმის წინააღმდეგ მიმდინარე პარტიზანული მოძრაობების ერთ-ერთი თვალსაჩინო მეომარი, „გოლიათი მაქსიმოლ“ ცნობილი კაცი იყო იტალიაში.

დედა-უსათნესი და უთბილესი ქალბატონი სონა, ობგაიძე-თა გვარიდან.

...და რაც უსათუოდა უნდა ითქვას, ეს არის ის, რომ წონქოლაურთა გვარი მთის პოეზიის, უფრო სწორად, ფშაური კაფიისადმი, ზოგადად ქართული ხალხური შემოქმედებისა და ენა-ლიტერატურისადმი უსაზღვრო სიყვარულითა და მოკრძალებით გამოირჩევა.

პოეზიის მოყვარულთ ისაც კარგად მოეხსენებათ, რომ სალაობო-შემოქმედებითი ყანჩი, ე.წ. „ნაკვესები“ და მათი ავტორებიც დიდი ხანი რჩებიან ქართველ მსმენელ-მყითხველთა მეხსიერებაში.

„კვესა“... ბატონი ზაურის ჩემგან „დანათლული“ სახელია. ვფიქრობ, შესაფერიცა და შეუცვლელიც. აბა კვესი რისი კვესია, თუ ვისაცა და საზეც გაჰქიცავს... არ გაანაპერიზელებს!

კვესას ლექსები ფშაური კაფიისათვის დამახასიათებელი იუ-მორითა და ზნეობაზე წამქეზებლური ტონით გამოირჩევიან. თვალსაჩინოა მის ლექსებში მშობლიური კუთხის, წინაპართა დაფასების, ხატ-სალოცავთა მიმართ მოკრძალებისა და პატივისცემის ასახვა და სიყვარული.

ისე კი... მაინც კვესია... მეგობრებსაც რომ არ გვზოგავს და
მოგიზგიზე ლექსებით „ცეცხლს გვინთებს“.

დიდხანს შერჩი სამზეთსა და შენი ლექს-კაფიების მოყვა-
რულ-მომლოდინე ხალხს, ჩემო ძმაო!

**პატივისცემით
ცოტნე ალბუთაშვილი**

ଧେ

ମତିଳାନା

ସାର

ବ୍ୟକ୍ତିଗତ



მე მთილანა ვარ ივრელი

* * *

მე მთილანა ვარ ივრელი,
დიდი ვაჟას ტომისა,
მოზარე ქვეყნის ჭირისა,
სიხარულის და წყრომისა,
ბერი ხარი ვარ მანძილა,
გული მაქვს ხვადის ლომისა,
სამშობლოს უღელი მაფგა,
ნამესისა და შრომისა,
ლოდი ვარ დახავსებული,
ბებერი ციხის ყორისა.
ბევრჯერ ვიგემე სიმწარე,
სიმართლისა და ჭორისა,
არც ომი დამვიწყებია
და არც გატანა სწორისა,
უფალო ძალ-ღონე მომეც,
ხატის ქარის მჩოქით დგომისა,
ჩემი მზეც დაიწვერება,
სიცოცხლის შემოდგომისა.

გაზაფხულის პირი

გავხედავ კავკასიონსა
თოვლიან ყინულიანსა,
ზამთრისგან შეწუხებული
დღეებს მოველი მზიანსა.
მზე რო ათბობდეს ქვეყანას
ცის თალსა ვარსკვლავიანსა,
თოვლების ჩამოტნობასა,
მთაში ზვავების გრიალსა.
ბუნების გამოლვიძებას,
ცაში მერცხლების სრიალსა,
ენძელას თოვლის ჭროლებში
იასა ლურჯაბიანსა.
ორთქლი რო ასდის მინასა –
გული დაიწყებს ძგრიალსა,
ბუნება ყველას დედაა
არ არჩევს გიჟსა, ჭკვიანსა,
ვეცადოთ ჩვენი სიბრიუვით
ნე მივცემთ სალმე ზიანსა.

გაზაფხული

რა ტურთა სანახავია
როცა ილვიძებს ბენება,
სხივები ამომავალი
ყვავილებს ესაუბრება.
ღამით მოსული ცისნამი
ფილით ცაშივე ბრუნდება
გაშლილსა ფარიფაგივითა
მარგალიტებად უხდება.
ხან მოვა ჭექა-ჭეხილი
მიდამო დაიხურება,
ჰირიმზე შეშინებული
ცისაკე შეიყურება.

მეც ერთგულს მაგის ძმობილსა
მამექუფრება გუნება,
ამდენი ცოდვის მზიდავი
ცა როგორ არ იღუნება,
უფალო, აღარ მაჩვენო
ამ ქვეყნის დაძაბუნება.

2013 წელი



მე მთილანა ვარ ივრელი

* * *

ფუშავის ხევს შემოვიარე,
ვნახე არაგვი მჩქეფარი,
მოჰქებს აფხიზლებს მთა-კლდეთა
ვით მთვრალი შუღლის მძებარი,
მოყმის დაჭრილ შებლს ვამგვანე
კლდეები წყლის ჰირს მდებარი,
აღმა მიჰყება ჩანჩქერსა
კალმახი დაუდეგარი,
წყარონი მთების ცრემლია
გულისპირს ჩამომდინარი,
რაა და ჰეორგავთ ქედებო,
რატო არ დამხვდით მლიმარი.
არც გორის ფხაზე მთვარე ჩანს
მალლიდან მორცხვად მზირალი,
გამწყრალი მოსჩანს მიდამო –
როგორც დიაცი მტირალი,
იხარე ჩემო სამშობლოვ,
მუდამ გიხილო მგრიგვინვალი
დარაჯად გედგას თავზედა
გერიგეტის მალლა მყინვარი.

2011 წელი



მე მთილანა ვარ ივრელი

* * *

მიყვარხართ ჩემო ქელებო,
უფროსო ძმებო ბარისა,
მოდარაჯენო მუდამყამს
ჩვენი ლამაზი მხარისა,
წინ-წინ მიმღებნო ვარსკვლავთა,
მამა მზის, დედა მთვარისა,
ხან გიხმობთ მგლების ლავლუვი,
ხან დროს ყვირილი ხარისა.
შენ, ჩემო მთაო ბორბალო
მშობელო ალაზანისა,
მითხარ, თუ დადნა ჯაჭვები
დევგმირი ამირანისა.
ბევრჯერ იხილეთ თვალითა,
რაზმები დალისტანისა,
ბრძოლა და ხმალთა ჭიდილი
მეფის ერეკლეს ხანისა.
ნუმც მოგრევიათ სიბერე,
ნურც დარდი თუნდაც წამისა,
თქვენა ხართ უტყვნი მოწმენი
ამ ქვეყნის დასაბამისა.

დარღი ვარ

დარღი ვარ დარღად შობილი
ჩემი სამშობლოს გულისა,
ერთი წვეთი ვარ სისხლისა
ამ ქვეყნის ტანზე წყლულისა,
შოთას საფლავის მიწა ვარ
ვერ ნაპოვნ, ვერ ნახელისა,
თესლად ვარ გამზადებული
წალმა ნახნავის ხნელისა,
აკლაპტარი ვარ ჩამწვარი
მეფე თამარის სულისა,
მლოცველი მუხლის მჩოქითა
ერეკლეს ნატერთვალისა,
ალმაშენებლის სიბრძნისა
ფიდ მოურავის ხმალისა.
ნეტავი კიდევ მაჩვენა
ერთობა მთის და ბარისა,
ბევრი ჩნდებოდეს ბალები
იმედნი მომავალისა,
კაცი ვარგოდეს კაცადა –
ქალი სინაზით ქალისა,
ე, მაშინ ძალა გვექნება
ადიდებული წყალისა.
მერე მეც წავალ სამჟიდოოს
დარღი არ წამყვეს ხვალისა,
კარგია თუ არ შაგვრცხვება
დატვებული კვალისა.



ზამთრის პირი

ცამ გახსნა გულის ქარები –
ქარმა გაფანტა ლრუბლები,
გაცრეცილი ჩანს ქედები
თეთრით წაუკრავ შუბლები,
ლამე გალილდა მეტადა,
ქაცი სიბძელით სწუხლები,
ხანტახან ვარსკვლავნიც ჩანან
ქრთიან ვით ღამის ქურდები.
წარბი შაუკრავ ბუნებას,
გამოჩნდა ჩიტის გუნდები,
ნყალს ჰყინავს ღამლამობითა –
ზამთარმ ღაალვა ხუნდები.
ჭალებზე ნისლი ჩამოწვა,
არ სჩანს მღინარის პირები,
მგელი შაჰემუის ზეცესა,
შიმშილით განაჭირვები.
გამხმარის ყვავილ-ბალახით,
სავსეა ველის პირები,
ხის ტოტებს ჭირხლნი ჰქილიან,
როგორც ლამაზ ქალს მძივები,
ხან ფიქრით ზაფხულში წავალ –
წარსულს დროს გავეკიდები,
ყველაფერს თავის წესი აქ,
ქაცი თუ დაუკირდები.



მე მთილანა ვარ ივრელი

* * *

იალნოს თოვლი დამღნარა –
საბალურს მზე უხარია,
გაბრუნდა ცივი ზამთარი –
სითბოს გაულო კარია,
დაბერილი ჩანს ყვირტები
მიწაზე ყვავილთ ჯარია.
იაც მოსული ლურჯაბა
ყვავილთა საფიცარია,
კეჯუცობს, ლალობს ბუნება
სიხარულისგან მთვრიალია,
გაზაფხულს სილალე ამქობს –
თითქოს ცოცხლდება მქვდარია,
უცრექელობით ვაჟეაცი –
წმინდა მანდილით ქალია.
ზამთარი თოვლის ბუქითა –
ზაფხულში წვიმა წყალია,
დედა შვილების მზერითა –
ლოდინით დალლილ თვალია,
მგელიც კარგია მგლისფერი
საფერხე ნიავქარია,
სისხლი დუღს, გრძნობა დაფრინავს –
ღმერთო! დასწერე ჯვარია.

მე მთილანა ვარ ივრელი

* * *

ჭინჭარი წარსულს ვამგვანე,
სიკვდილის უკან მავალსა,
უკაცურთ უყვარს ცხოვრება,
არა ჰქვლევს ვისმე ნავალსა.
საღაც არ სჩქამობს კაცის ძე,
არ უყივლია მამალსა,
სად ეკლებსა შლის ქარ-წვიმა,
ცრიო-ყამი ალპობს ყავარსა,
საღაც არავინ ამასთქომს
სიხარულს, გულის ჯავარსა,
სად ძალლის ყეფა არ ისმის,
არც ვინა ხმარობს გარასა.
შენი დანახვა მაგონებს
შვილმჟვდარი დედის ყაბასა,
გულიც შავი გაქ ტიალო,
გვიპირებ გადაყლაპვასა.
თუ ვაყეაცი ხარ იქ მიღი,
სად დედა არზევს აკვანსა,
საღაცა მრავლობს ცხვარ-ძროხა,
რძით რო ავსებენ ტაგანსა,
საღაც ხმა ისმის ლხინისა,
ბალლ უმლერიან ნანასა,
საღაცა ჩქამობს გრძემ-ჟვერი,
სქედენ ხმალსა და დანასა,
სად ვარსკვლავსა სწყვეტს კაი ყმა,

* მამაჩემის სოფელში, ხეობაში, დაქრძალვაზე ჩასულს სულ სამი-ოთხი ოჯახიღა დამხვდა დარჩენილი იქ. მიზოვებულ ნასახლარებზე ჭინჭარი ამოსულიყო, სასაფლაოები კი ბალახში აღარ ჩანდა....

მე მთილანა ვარ ივრელი

უპირებს ჩამოტანასა,
სადაც სწორითობას ჯეილი
მეუფერება ქალასა,
სადაც ხარიბას ვაჟეაცი,
გამაჰშლის ხათაბალასა,
იქ, სადაც ჰეარიბს სიცოცხლე,
სადაცა ჰედავ ძალასა.

წერისოფლის სამდურავი

დავცალე, წერისოფელი
დაუნდობელი ყოფილა,
სიავით ყველას აჯობა –
ვინც დედისაგან შობილა.
მაგემა მწარე ბალღამი,
კაცი ჭირშიცა წრითობილა,
ბევრი ამრავლა კაცითა,
ზოგთად ცაც ჩამომხობილა.
გაუმწარებავ მეტადა,
ყურით რო არ გაგონილა,
ჩვენაც იქ ჩავიკრიფებით,
საც მამა-პაპა წყობილა.

საწუთო

ნეტავი გამაგებინა
საწუთო ესე რაღ არი,
ამხნისაი ვარ მოყრილი
სამარის პირზე დამდგარი,
გამოვიარე ცხოვრება,
ათასგანა ვარ ნატარი,
ჯერაც ვერავინ ვიხილე
თავის ცხოვრებით დამტკარი.
ძნელია ვინმე იპოვნო,
მადლის საკეთოდ შამდგარი,
თუ ფეხი სადმე დაგიცდა –
იქავე მტერიც მზას არი...
მოტყუება და ფლითობა
ცხოვრების წესად გამხდარი,
კარგი ვაკეაცის ცხოვრება
კულაპერარივით დამტნარი.
ბევრი შვილების პატრონი
სხვათ სამარხავად დამრჩალი,
სიკეთეს ყველგან დავეძებ –
მზის სხივებს როგორც დამძრალი...
სამჯვიფროს გავემგზავრები,
სააქაოზე გამწყრალი,
ტყეილად შამიბრალებენ –
უკვე მამკვდარა საწყალი,
იმას კი ნურავინ იტყვის
ზაურმ დაყარა ფარ-ხმალი,
უფალო გამასამართლე –
მტყუანი ვარ თუ მართალი.

მე მთილანა ვარ ივრელი

მივსდი წუთისოფელსა

მივსდი წუთისოფელსა,
ვნახე სანახი თვალისა,
ძმამ უნდა ძმობა იცოდეს –
დამ კი შანახვა თავისა.
ვაჟაცს სიღინჯე უხდება,
გაჭირდეს გაბლა მქლავისა.
მთისა ირემი სჯობია,
ცრემლი პირთეთრი ქალისა,
ძალლი ერთგული სჯობია,
ფხიზლად დამცავი კარისა.
ჭარმაგი გონიერი სჯობს
გამრჩევი ტყბილის, მნარისა.



მე მთილანა ვარ ივრელი

ზამთარი

თოვლი ჩამასთოვს ცერალა,
ნელ-ნელა ჰუარავს არესა,
თეთრი ჰერია საბანი
გაღმით-გამოღმა მხარესა,
არ გამოსულა მნათობი,
პირი არ უჩანს მთვარესა,
დარიციანი ჩანს ბუნება –
ქალსა ჰგავ მგლოვიარესა,
მუხასაც თეთრი ჩაუცომ
კლდის თავზე მდგომიარესა,
თვითონ კლდესავით მედგარი
ფიქრის მისცემია მწარესა.
ნეტავი მუხავ ტიალო
თუ სძმობ ზეციურ ძალებსა?
ყველაფერის უნდა გაუძლო,
მოსულს წვიმებს და ქარებსა,
ზაფხულშიც ელვამ არ დაგერას,
უფროთხილდი ცეცხლის ალებსა.



მე მთილანა ვარ ივრელი

იორს

იორზე გრიგალს შამოვხვდი
თავქვე მორბენალს ფრენითა,
ამბავი ვკითხე – სად მირბი –
ესე თავპირის მტვრევითა.
თვალნიც არ შამამაყარნა,
გვერდზე მიმაგდო ხელითა,
დაეშვა გავეშებული
ლეგა ლრუბლების ფერითა,
გავხედე დალონებულმა –
რალას ვუზამდი ცქერითა.
მოვბრუნდი გაკვირვებული,
ქშენა ამამხდა ყელითა,
უფალმა მითხრა, გაუშვი!
იაროს თავის წერითა.



მე მთილანა ვარ ივრელი

* * *

შენც მოგრევია ბუერავ
ამ წუთისოთვლის ჯავარი,
ყინჩად სანახავ კი იყავ
ხევის პირს ლალად დამღვარი.
ფოთლებს დაგაყრის ტირითი,
ეგ არი შენი სამარი,
მოგიალერსებს ფიფქები,
დაგთარავს თოვლის ნაქარი.
ჭოტი ზარს გეტყვის ღამითა
ხის ფულუროში შამჯდარი,
ისევაც მოხვალ ზაფხულში
რო აყვავლება მთაბარი.
ია ამოვა წინ-წინა
ეგ გაზაფხულის მაყარი,
ნანას გიმლერებს ბულბული,
პირბალრი მთვარის წარალი.
მიღის და მოღის თაობა,
მიწას არ ატყვავ ნაკვალი,
ბრუნავს საწუთოს ბორბალი –
ეს არი ქვეყნის წამალი.
ცაში არწივი ნავარილობს,
ჯიხვი კლდეს ჰქიდავ რქებითა...
მაშინ ყველანი ლალნი ვართ
ქვეყანაზე რო ვჩნდებითა.
მოვა სიბერის ზამთარი,
სიცოცხლეს გავეყრებითა,
სახელი რჩება ამქვეყნად,
სხვას ვერას ვიგებთ წლებითა.

ენძელა

შენა ხარ, შენა ენძელავ,
ფელა ბუნების მაყარი
ადრე მოსულხარ ლამაზო,
არ თუ გაშინებს ზამთარი.
ჭროლებში ამოშჩენილხარ,
მიწაც არ არი გამთბარი.

შენს შემტევ ია ამოვა,
გადამწვანდება მთა-ბარი,
ზამთრის ბორკილებს აიხსნის
სიცივით ნაავადარი.

მოკლეა შენი სიცოცხლე
ცა არი შენი საფარი,
სითბოში ყოფნას რა უნდა,
ეხლა მოსვლაა მთავარი,
შენი ხანმოქალე სიცოცხლე
მთელ წელთან არი სადარი,
ბუნების სიყმის შვილი ხარ,
ნურც ვინა გნახა მამკვდარი.

შენა ხარ, შენა ენძელავ,
ფელა ბუნების მაყარი,
ადრე მოსულხარ ლამაზო
ვერ თუ გაშინებს ზამთარი.



მე მთილანა ვარ ივრელი

* * *

გულსუნადინოდ რასმე ვწერ,
არეული მაქ ფიქრები,
დილიდან აღრენილი ვარ –
მეც იმათ რბოლას მივყვები.
ქვეყანა განსაცდელშია,
თან-თან სისხლისგან ვიცლები,
ვინც յი ხალხისათვის იბრძოლებს,
მეც იმათ გვერდები ვიქნები.
შავი ღრუბელი გროვდება
ჩვენი სამშობლოს ცაზედა,
გამოჩნდებიან გმირები
მამათა ნაფუძვარზედა.
კიდევაც დავასამარებთ
ვინც სამტროდ მოვა კარზედა,
ოვთისმშობლის სული ტრიალებს,
სვეტიცხოველის თავზედა.
კიდევაც გადმაანათებს,
ცისქრის ვარსკვლავი მთაზედა,
კიდევ მივსდგებით ჯარადა
ხმელგორს ლაპარის კარზედა.

არწივი

ღალატით მხარში დაჭრილი
არწივი მწარეც გმინავდა,
თვალთაგნ ცრემლი სდიოდა
ცაშიც ველარა ფრინავდა.
ყორანი ლოცვებს უკითხავს,
ორბი თავს ეფგა მზირადა,
სამშობლოს თავისუფლებას
თავის სიცოცხლეს სწირავდა.
ოხრავდა, ვერ გაგიმეტეთ
ამ ჩემის თავის ჭირადა,
ფიქრობდა – დაიზრდებიან
მართვენი ქვეყნის გმირადა.
ცაში ყიდევაც იფრენენ,
არწივნი მხარკვერიანნი,
ეცოდინება ყველასა,
ვინ რითი უქნა ზიანი.
მაესწრებიან ქვეყანას
ვაჟები ნამუსიანი,
შადგება ლაპრის გორზედა,
ბერი ლუხემი ხმლიანი.



მე მთილანა ვარ ივრელი

ხმალო*

შენ ხმალო პაპიჩემისავ
ათასგან ომში ნატარო,
ამბავი წინაპრებისა
მიამბჯ რო გამახარო.
მითხოს არბიე ქისტები,
ყადორს ლეკები სცელია.
ეხლაც ისევ ის გმირი ხარ
ასორმოცამდე წელია,
ხალიბთა ფოლადისაო
პირზე ნათელი გფენია,
ვაჟაის ხნისა ჰყოფილხარ,
ქარქაშზე ზედ გიწერია.
ხუთი თაობა გაჰზარდე
მეექვსე მოზჯარდებისა,
საფლავში ძლევები ბორგავენ
იმ დიდი მეფეებისა.
პაპათ საგმირო საქმენი
ქუხილით ცასა სწვდებისა
ქავ-ციხეებზე ჯლრდე მოჩანს
მოჭრილის მარჯვენებისა,
ქაი ყმა, ხმალიდ ჯავშანი,
აროდის გაიყრებისა.

* ჩემს ოჯახში დღესაც ინახება საგვარეულო ხმალი, რომელსაც ქარქაშზე ვერცხლის ბენზე ამოტვიფრელი აქვს 1861 წელი.

იორს

სულ შენთანა ვარ, იორი,

ფიქრით დღისით და ღამითა,

ვერ გნახე ნაავადარმა,

დარცებს შავეჯარ ზავითა.

ჩემო მურყნიან ჭალებო,

ბევრგან ყლდეების კარითა,

თავად ბორბალოს შობილო

ხაშრელას ავლევ კალთითა.

გმირის დედასა ჰგევიხარ,

ხელში ნაჭერის ბალლითა,

შენც მამენატრე ბუერავ,

წყაროს მფარველო მალლითა

ბექების თავზე პირიმზევ,

მორცხვად დახრილის თავითა,

ზოგ ადგილს ციხის ნაშალო,

მწვანედ მოსილო ხავსითა.

ლეშზე ყორნების ტანებავ,

ორბთა ფრიაშფრიაშო ჯავრითა,

არწივთა დახულეზნებავ,

სავსევ შიშით და ზავითითა.

ჭალისპირებზე გვირილავ

ხშირადა გნახო მაინცა,

ირემი მთასა მყვირალი,

ნეტა ბარში ხვარ გაიქცა.

შენი ვარ ჩემო სამშობლოვ,

ცოცხალიცა და მჟღარიცა.

ლვთისშვილნი

ხმელეთის შაყრილან ლვთისშვილნი,
მასპინძლობს დიდი ლაშარი,
ყველა ჩიოდა მტერზედა
ცდაზე არიან დამდგარი,
ფეხს უცემს ცხენი ლურჯაი,
უხდება გიშრის ფაფარი.
თეთრ ცხენზედა ზის გორგი,
ომებში ნაცალ-ნატარი,
ლალია, ლალ იახსარი,
ჯაჭვ-მუზარადში ჩამჯდარი.
მხარზე ლახტი აქ კოპალას,
ლევებთან ომში ნახმარი,
ბუნის წვერი სცემს მიწასა,
წელზე უხდება ხანჯარი.
ქვეყანა უნდა დაიხსნან
დიდი ხნის ნაავალარი.
ლედა ლვთისმშობელმ დალოცა,
უკურთხა მუხლი, მხარ-მელავი
უშველე დამბადებელო,
არ გაუცვითო ფარ-ხმალი.
მეც მაგის მოტირალი ვარ
წინ ცრემლის გუბე დამდგარი,
ცისქარო გზა გაუნათე
მთვარევ ჩაუდევ საგზალი.

მე მთილანა ვარ ივრელი

* * *

დალამდა, მთვარიეც გამოჩნდა,
ვარსკვლავთ დაუჯდა ჯარზედა,
აქა-იქ ფარტენასავით
დაჩნდა ლურბელი ცაზედა,
სამყარომ შამაიხვია
ლუგა ნაბალი ტანზედა.
აბრინდა ფიქრის ბორბალი,
ძილს არ მაჟარებს თვალზედა,
ერთხელაც ვერ დავისვენე
ჩემი ცხოვრიების კვალზედა,
ჩემს გამოვლილ გზას გავხედავ,
ლამის გადავცდე ჭავაზედა,
მე სხვების ცუდსა ვკვირვობდი,
თვითონ გადამხდა თავზედა.
დაიზრდებიან შვილები,
წავლენ თავ-თავის გზაზედა,
ისევ შენ უნდა ითვიქრო,
წინაპართ ნაფუძვარზედა.
მყვდარსაც შენ უნდა მიჰელო –
არც ვინ აცინო გვარზედა.
მარტეა ვარ სულითა
ვით ეული ხე მთაზედა,
მგონი არცა ლირს ცხოვრიება
ამ ცოდვილ ქვეყანაზედა,
ხან ლავინატრებ სიკვდილსა,
გამეცინება თავზედა –
ნერა თუ ვინმე მიტირებს
მიმდგარს სამარის კარზედა...



ლოტისმშობლობა ფშავში

მთას ვიყავ ლოტისმშობლობასა,
ვნახე ფშავლების დღეობა,
ჯდომა, ლამაზად ქეიფი –
ლექსობა, ენამზეობა,
ხევისძრის ლოცვა-ლალადი,
დასტურთა მონაცვლეობა,
ხმასა ხატისა ზარისას,
ხმას აძლევს მთელი ხეობა.
ყმაწვილთ ხატის კარს გაყვანა,
შუბლებზე ჯვრები სისხლისა,
დალოცვა-დამწყალობნება
ჩვენის წყლისა და მიწისა.
მოლაშქრეთ გაიხსენებენ
იმ პიროვლიან გმირებსა,
მეფეთა მეფე თამარისა,
ერეჯლეს გასაჟვირვებსა.
ლოტის მადლმა ლამაზი არი
გალმით-გამოლმით სერები,
კალთებზე დეკის საფარი
ყვავილთა ჭრელი ფერები,
ნისლი აინევს დილითა,
ჩნდება ზოვიან ხევები,
ტყიან გულმჲერდით ჰყულიან,
როგორც მძინარე დევები.
სუმელჯიაის ციხესა
ცისეუნ უპყრია ხელები,
თითქოს ინატრა უნჯ-ყმანი



თავის სამშობლოს მცველები,
საამო სანახავია
როგორ არ მოვეფერები.

მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაული,
უკანა ფეხვი, 2009 წ.

სიბერე

ბნელს ხევში ლოდმა იტირა –
მეც მამიგონეთ ერთხელა,
დამღალა წყალის დენამა,
ტალღამ გამლოჟა ნელ-ნელა.
არც მე დამინდო ყამთასვლამ –
სიცოცხლეც ეხლა მეძნელა,
სიბერეს არ მოველოდი,
მშიერ მგელივით მეძგერა,
ჩემზე თქვეს – ალარა ჰქვდება –
ცა მინას გამეეცერა,
ესე ყოფილა სოფელი –
ალბათ ეს ბედი მეწერა.

მთვარეს

შენც ამოსულხარ მთვარეო,
ანათებ დედამიწასა,
ამოხველ, ამაიყოლებ
ვარსკვლავსა ცისკარისასა,
ფაჯდები ამბავს მიამბობ,
ჩემი ლამაზი მხრისასა,
ქოჩრიან ივრის ჭალისას,
საბუღრის კალმახისასა.
ვიგონებ ამბავს, განდობდი
ნამალევს გუნებისასა,
როცა უებრო სურვილი
ანგრევდა გულის ფიცარისა,
რამდენჯერ ტრიფობა ქალისა,
გულს ადნობს კაი ყმისასა.
ქალთან უენო ვაჟეაცი
ჯავრს არა სჭამდა მტრისასა,
დანახვა გულის სწორისა,
ამოსვლასა ჰეგავ მზისასა.
ადამიანის გაჩენა
მოსვლას ჰეგავ ყვავილისასა,
დრო მოვა, დაიკარგება
არას წაილებს სხვისასა,
თავის გზით წავა ცხოვრება –
არვინ იდარდებს მჯვდრისასა.

შემოფგომა

აგრილდა ღამელამობითა,
ზაფხული წარსულს ბარილება,
დაბლა ჩამოლის ფოთოლი –
მოსწყდება, ჩამოვარდება.
საწუთოო არვის დაინდობს,
როცა დრო გაუთავდება,
ბენებას თავის წესი აქ –
წავა და დაიკარგება...
წარმავალია ზაფხული,
ლვინობა შემობრძანდება,
სიბერესა ჰგავ ტიალი,
თავს უცბად წამოგვადგება
მთებიდან მოდის ცხვარ-ძროხა,
ბარისე მიიბარგება,
ზამთრისთვის შრომობს ქვეყანა
საქმეც ნელ-ნელა გვარდება.
თეთრიალ მოგვივა ზამთარი,
ქრიტეს შობისთვე დალგება,
უწყვეტლივ ბრუნავს ქვეყანა,
ხან ტყბება, ხან კი მწარდება,
ჩვენც თავის ჭკვაზე გვატარებს –
რა ვინმე გაუჯავრდება.



მე მთილანა ვარ ივრელი

იორს

იქნებ მიამბო იორო –
რა ამბავ მოგაქ მთებისა,
აგმურლვებია სათავე
ბუნება ხვარა წყრებისა,
მეფის ძახილზე ისევ თუ
ქედზე კაც შაიყრებისა.
თუ ჩამაჰყვება ხაშრულას
ბაჩლელი მამის ცხენითა,
მააგელვებდეს ლურჯასა
მოლერებულის ყელითა.
დაპრეკავს აონის ზარი,
ხმა რო სოფლებსა სწვდებოდეს,
ხილიანალან, ყვარიალან,
ვაჟები იქრიბებოდეს,
თხისტყავიანი ივანე
ლაშქარს არტანსა ხვდებოდეს,
ყმას მეხასავით ზავთიანს
მეფისეული შვენოდეს.
შენ გვეღრებ დამბადებელო
ეს ნატვრა ამიხდებოდეს,
კაი ყმა სვილისფერაი,
ომში ატარა კვდებოდეს.
მინდორსა ჰენავდეს გუთანი
კვალი-კვალზედა წვებოდეს,
სოფლიონს, ლიშოს, არტანსა,
მალ-მალ ბალები ჩნდებოდეს,
იორზე, საარაგვოზე
წელწაფს თოფები ტყვრებოდეს,

მე მთილანა ვარ ივრელი

მოხუცებ ახლუხლები
ერთად სალექსოდ სხდებოდეს,
გამრავლდეს ხალხი სოფლებში
ჯარიბას იქრიბებოდეს.
დამლერდენ ჯვარი წინასა
ფერხისა ენაცვლებოდეს,
ყაფრის გორს ზოვის ქუხილზე
ხაშარს პირიმზე ერთებოდეს.

* * *

ცაში ჰყეფს გუნდი არწივთა,
მწერივზე მოდიან ჯარალა,
წინ მაუძღვება ჭარმაგი,
შუქი მიჰყება კვალალა.
საით მიჰთრინავთ არწივნო!
მთისას? თუ დაბლა ბარალა?
საომროდ მივემგზავრებით,
სამშობლოს დასაცავალა,
ლელას ბევრისას ვატირებთ
მზეს დავებნელებთ შავალა,
რო გავერევით მტრის ჯარსა –
სისხლი სწვიმს, მოდის ლვარალა,
ბჯლალებით გაგვაქ ნაჭრევი,
ჟვესა დაჲყვება ავალა,
ჩვენაც იქ ჩავიხოცებით,
ამ ქვეყნის დასაცავალა,
სახელითა სჯობს სიკვდილი,
უსახელოდ – არც ჩალალა.

ცხრაკარა

ცხრაკარის ციხეს ვეახელ –
ცხრავე შავალე კარები,
ცხრაჯერა ვკითხე ამბავი
ნინაპარო დანაბარები:
– გველი რაღ ძვრება ლიბოში,
ქონგურზე სხდება ყვავები,
ჭინჭარი ჰეთარავს ციხის გულს
სახილად შასაბრალები.
ალარა შხივის გორილა
არა ერიალებს ფარები,
მაშინ ომობდენ ვაჟები,
მაშინ გმირობდენ ქალები.
არა ჩანს ბერი ლუხუმი,
არ წივის ცხენის ნალები,
ალარსად გმირი სუმელაზი –
რქაჯანიანი ხარები.
პასუხი მამცა – სხვა დროა
იმათ ნუ დაედარები,
მოვბრუნდი, უკან წამოველ,
დარდის ლრებელში გავები,
ვთქვი – ჩემებურად ვიომო,
მუქთად ნუ დავიარები.



მე მთილანა ვარ ივრელი

* * *

ციხის კარს მგელი სდარაჯობს
ციხის საძირქველს – წყეული,
 ფგას ხავსიანის ტანითა
 თავის სიმტკიცით რჩეული,
 ყამთასვლა ვერაფერს აკლებს
ვერც წყევლა-კრელვით გრძნეული
 ნატრიულობს მეციხოვნეთა
 ლაშქრის სიმრავლეს ჩვეული.
 ამბობენ, გულიც ჰქონია
 ბუბუნებს ჯავრმორეული,
 მეც მოზარე ვარ ჭირისა
სამშობლოს წყლულით სწეული,
 დავვინაწევრეს მამული
 ათასჯერ სისხლდანთხეული.
ციხის კარს მგელი სდარაჯობს
ციხის საძირქველს – წყეული
ხან ღროს ხაფი ხმით აფხიზლებს
ხარილალი შამოჩვეული.



მე მთილანა ვარ ივრელი

* * *

ლრუბელი ჰეთარავს ჭიუხებს
ნისლი მოჰყვება სერებსა
უხდება ნაბადივითა
ამ ცხრათავიან დევებსა
ხევებში ისმის ღმუილი
ადიდებული წყალისა
ჩანჩქერებადა ჰეკილი
როგორც ნაზნავი ქალისა
ჟლდებო თქვენ რასლა ჰეგლოვობთ
ჯავრი თუ გტანჯავთ ხვალისა
ფართი მეც გადმომდებია
მდუმარე ჟლდისა სალისა.
მალე დადგება ზამთარი
ალარც იმედი ხვალისა
გაიძარცვება მთა-ბარი
გულში ამშლელი ბრალისა,
ალბათ ყველაფერს წესი აქ
ბუნების სამართალისა.

თუშეთი

მე მთილანა ვარ ივრელი

* * *

გაზაფხულს გულითა ვხარობ
მოდის სიცოცხლის ხალისი
ყინულს დაუსხლტა იორი
ისმის შხეილი წყალისი,
გული ბორგავს და სისხლი დუღს
ჩნდება ფიქრები ხვალისი,
იაც მოსულა ლურჯაბა
ლაზათი ყველა მხარისი,
ერთ ზაფხულს კიდევ მოვესწარ
ხილვა ყვავილთა ჯარისი
სვეტებალ ჩადგა გულშია
იმეცი მომავალისი.

* * *

საით მითურინავთ ყორნებო –
შავი რალ გაცვავთ ტანზედა,
თქვენ კი ვერავინ დაგასწრებთ –
წინ-წინ თქვენ მიხვალთ მკვდარზედა,
მერე დასძლებით ლეშითა,
ჩამაირიგებთ ჯარზდა,
შასხლებით ორნოხებშია
სისხლი გადაგდისთ თვალზედა.
არც არვის დარდი გაჯავრებსთ
არც არვის ცრემლი თვალზედა
თქვენც მოგადგებათ სიკვდილი –
ცოდვა ჩაგყვებათ კვალზდა.

ოქტომბერი, 2015 წელი



მე მთილანა ვარ ივრელი

* * *

რა დროს თოვლია აპრილო,
ცაო, შენ რაფლა ჰბინდუები
იას თუ სიცივით მაჰკულავ
სითბოს როდისლა გვპირდები,
ქალს ჰგევხარ შინაბერასა
დღეში რამდენჯერ იცვლები
ივრის ჭალაზე ნისლი წევს
ბალახზე დნება ფიფქები,
ყვავილნი დალონდებიან
ამას რატომ არ მიხვდები
ლმერთმა დასწყევლოს ზამთარი
შენც იმასავით ირჩები
წესია შენი დადგომა
ჩვენ კი სულ არა გვჭირდები.

* 2017 წლის 10 აპრილს თანამდებობის დიდი თოვლი მოვიდა.

მე მთილანა ვარ ივრელი

ნიკორწმინდობა*

ცად აზიდული ტაძარი
ნიკორწმინდაა სახელი
მრავალი წლების მომსწრეა
მრავალი ჭირის მნახველი,
ნეკა ვინ იყო მოძლვარი
ჩუქურთმის გამომსახველი
უნდა იწამო, ილოცო –
ეგ არის ქვეყნის საშველი.
მემატიანე წარსულის
ჩვენი სამშობლოს მხარისა
ქვეყნად სიწმინდის გვირგვინი
მაღლა მთის, დაბლა ბარისა.
დიდი გელათის ძმობილი
ნაჯურთხი მცხეთის ჯვარისა
ფაე, ისმოდეს მარადეამს
გუგუნი მისი ზარისა.

2019 წ., ნიკორწმინდობა

* ეს ლექსი ექსპრომტად დაწერე ნიკორწმინდაში და იქვე წავი-
კითხე.

ახალი წელი

ქარს მოდგა ახალი წელი
ხმა მესმის ჩვენი მთებისა,
ბრალია ჩემო სამშობლოვ –
ჯოგი დაგსხმია მგლებისა,
გლეჯენ, ძარცვავენ თავის ხალხს
ვით ურდო ასმალებისა.
ჩვენ თვითონვე ვართ გამზრდელი
ჩვენივ მოსისხლე მტრებისა,
მიკვირს კი როგორ დავუშვით
შეცდომა წინა წლებისა,
გაგვინახევრდა ქვეყანა,
გაშლა ვერ შესძლო ფრთებისა.
ამათთან კაცი ფასდება
დალატით თავის ძმებისა.
თუ მალე ხმალს არ გავლესავთ
ქვეყანა დაიცლებისა,
სოფლებში ქალს ვერ იპოვნი
მოზარეს თავის მკვდრებისა,
სხვა ქვეყნებითან ხმა ისმის,
გოდების ჩვენი დებისა.
რატო სიმხნევე არ შეგვრჩა
იმ დიდი წინაპრებისა,
ნეტავი გმირთა აქვანი
კიდევ თუ დაირწებისა,
იქნება ვინმე გამოჩინდეს

მე მთილანა ვარ ივრელი

შამგებებელი მტერისა,
თორო დავკარგეთ სამშობლო,
ჩამოქცევა გვაქ ჭერისა.
ვიცით, ჩვენვე ვართ მჭედელი
ჩვენივე ბედისწერისა,
მინდა ამ წელმა წაიღოს
ტყივილი მთელი ერისა,
უფალო, ჩვენც გაგვითენე
დღე ლხენისა და მლერისა.

* * *

სუმელჯის ციხევ, მგლისფერო,
ნაგებო მთების ტინისა,
გალავანს არვინ გიმაგრებს
ჟარიც შაგხსნია რეინისა.
გორჩე წევს გმირი სუმელჯი
დამცველი თავის ბინისა,
ბევრჯერ დაგეცა ურჯულო –
დანგრევა სცადეს ძირისა,
ბევრგზის მოგინდა ტალო
სისხლით დაბანა ჰირისა,
ხოშარით ქვითინი მოდის
სანათა ქმარ-შვილს ტირისა.

* მთაში, ჩემს სალოცავთან არის ციხის გალავანი, რომელსაც
სუმელჯი წოწყოლაურის ციხით მოიხსენიებენ მეცნიერები.

მე მთილანა ვარ ივრელი

არცვინ გულშემატკივარი
გამზიარები ჭირისა,
დაცლილა ფშაველთ სოფლები,
ხმაც აღარ ისმის მზირისა.
ქონგურზე ყორნები სხდება,
ლიბოში გველი წივისა.
თავს გადგა შავი ღრუბელი
წარსელის მწარე წილისა,
მზის სხივიც არ გესალმება
ამომავალი დილისა.

საძმო საფლავზე*

საძმო საფლავზე ვისმინე
გმინვა შვილმავდარი დედისა,
შვილის დაკარგვით ტანჯულის,
მკრულავი თავის ბედისა.
ვარამი დედის გულისა
ზღვას ხიდად გაიდებისა,
დაბლა მტკვრისაკე მიიწევს
ღელე ნადენის ცრემლისა.
სულეთში შასულ გმირებსა
არ ესმით ლოცვა წყევლისა,

* 2011 წელს ალდგომის დღესასწაულზე მუხათგვერდის სასაფლაოზე მოვხდი, რა თქმა უნდა, საძმო სასაფლაოზე მივედი და სანთლები ავანთე.

მე მთილანა ვარ ივრელი

კაცის წარსულზე ჰქილა
სიმკვიდრე სასუფევლისა,
ლაჩრის სირცხვილით ყოფნასა
ბეჭი სჯობისა მკვდრებისა,
ვერც დაგიტირეთ წესითა,
ალბათ ბრალია წლებისა
მთვარე გიტირებთ ღამითა
ცრემლებად დაიღვრებისა,
თავს დაგიხრიანთ ქედები
კავკასიონის მთებისა.
არ შაშინდება ქართველი
წურთნა ვინა თქვა მგლებისა?
სიკვდილიც გაიცრიცება
ხან რო გამოვა წლებისა.
კარგია, წასულთა ნაცვლად
ორჯერ მეტი რო ჩნდებისა,
ქუდზე კაც უნდა მოქეჩეს
ჯარ იდგეს ვაჟაცებისა,
ხმალზე დაყრდნობით დავითი
დიდგორზე გადმოდგებისა,
დედაც შაიშრობს ცრემლებსა,
სამშობლოც გალალდებისა...

გასაუბრება წინაპრებთან

თქვენ საფლავებთან ჩამოვდექ

მე თქვენი ჩამომავალი,

ბალობის ნატუსალარი,

ბევრჯერ სიკვდილის ნაგალი.

ვერც ვაჟაცობით ვიმაგრე,

არც ქვეყნით დიდად თამამი,

მინდა თქვენ გაგაგებინოთ

ეს ჩემი გულის ვარამი.

თქვენ დროსაც ივერთ მხარესა

მტერი ჰყოლია მრავალი,

ხმლითა და სიბრძნით იცოდით

ჭირისგან გამოსავალი.

ალბათ სულ ესე იბრძოლნენ

ის თქვენი მამაპაპანი,

ჩვენ კი ვერაფრით ვერ დავდეთ

ამ ჩვენი ქვეყნის სამანი.

ვერ შაგინახეთ სამშობლო

სისხლით, ცრემლებით ნაბანი,

ვნატრობ, გვალირსოს უფალმა

კიდევ გმირების აკვანი.

გულის ჩივილი

შაუყევ ივრის პირებსა
მურყნით გავსილა ჭალები,
ისეთები ჩანს ჩვენ მთები –
რო დევებ ნამძინარები,
ყვარის მთას ჭრელად ეტყობა
წვერებზე ნათიბარები.
აქა-იქ ჩანან ბეჩავალ,
ჭირჭალში ნასახლარები,
ჭალთებს მაჟყვება ხევები,
დარიდრან შუბლს რო ღარები.,
გულისპირჩამოგლეჯილი,
ტყის პირებ ნაზოვარები.
ალარა ჩანან მთებზედა
წალიკალ ფშაველთ ფარები,
წინ არც ვინ შამამეგება
ვაჟებ წელხანჯრიანები,
მამგონდენ მამა-ჰაჰანი
მიწაში წვანან ხარები,
არსალ საჯაროს ხალხი ჩანს,
არცა რეკავენ ზარები,
ხალხით დაცლილა სოფლები,
დამრჩალა ნასოფლარები.
შველა შავტირე ღვთისშვილთა –
დარიდრა ღრუბელში გავები,
ყმანი ვართ ლაშარის ჯვრისა,
არ დაგვეჯაროს კარები.



გასაუბრება ლვინოსთან

ლვინოსა ვკითხე, ძმობილო
რაც იცი ქაცის დათრობა?
ლვთისგან ნაკურთხი სითხე ხარ,
ხალხში კი არა დანდობა,
ბევრი საფლავში გაჰვიზნე –
უფრო კი ახალგაზრდობა.
მითხრა, რაც ეგრე ძმისაო,
რაც მავსებ ცოდვა-ბრალითა,
ყველას სუფრასა ვჭირდები –
ვის მიუველი ძალითა,
რო გახურდება ქეიფი,
მსვამენ ყანწით და ჯამითა.
მე ჭკვიანებთან დინჯი ვარ,
ფიცხებთან ამოვდულდები,
რით ვერ გაიგო ქვეყანამ
რო უკეთურებს ვძელდები,
არ უნდა, ნულარ დამლევენ,
უკან არ გამოუდგები.
ლვინო ქართველთა სულია,
ჭირიც და ლხინიც შიგ არი,
ყველა ხალისით მიირთმევს,
ლარიბია თუ მდიდარი.
უფალმაც ლვინით დაგლოცოთ,
ეგ არი ჩემი მიზანი,
სულერთი არი ვინცა ვართ –
მიწისანი თუ ცისანი.



მე მთილანა ვარ ივრელი

* * *

ხუზაურმა დაიჩივლა
თავის გულის აცრუება,
– რა კარგი დრო წაგვივიდა,
მოგვივიდა რა დროება,
მტყუან კაცის ფიცი მიკვირს,
ბოზის ქორნზილ-გათხოება,
ლოთის სადილ-ვახშამ მიკვირს,
ალეში ხუთჯერ გაბრუება.
დედის მაგინებელ კაცი,
მამის წასვლა, გაქსუება.
ქურდის სახლში შამოშვება,
იმის ბრუნვა და ზუება.
ბებერ კაცის შუღლი შარცხვეს,
მყავე ცომის გაფუება.
ციცაისა მარხვა დავწვი,
ძალლის ყურით დაყრუება,
ჟოჭლის ცხენი იორნეა და...
ჩამქრალ ცეცხლის გალუება.

მე მთილანა ვარ ივრელი

2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებზე

მზის დაბალებას დავესწარ
ნათლობა ვნახე მთვარისა,
ცაფ ამაღლება ვიხილე
ქრისტიანთ წმინდა ჯვარისა,
დამსხვარნი სათათბიროდა
ძმობა მთისა და ბარისა,
სიბრძნე გავიგე ხალხისა
ჩემი სამშობლო მხარისა.
შავთხოვე ლაშარის ჯვარსა
დალოცვა ქართველთ ჯარისა,
ვინატრე ყოველ ჯარობას
მლოცველი ხატის ქარისა
ხევისბრის ლოცვაში ჩაწვა
ხატის წინ ქელაპტარისა
შუქალ ჩამილგა გულშია
იმედი მომავალისა.

8 მარტი

რვა მარტს გილოცავთ ქალებო! –
ყვავილნო მთის კალთებისა,
ძნელნი ხართ მოსაკრეფადა,
ხელნი ნაჟლებად გწვდებისა,
მაგრამ არწივი არწივობს,
თუ გამლა შესძლო ფრთებისა.
მულამ კი ლამაზები ხართ –
ვერ გვნებთ ყამთა სვლა წლებისა.
უთქვენოდ არა ვვარგივართ
თუკი ოჯახი დგებისა,
ბეჭნიერია ის კაცი,
ვის გული ლოცავს დედისა,
ლხინია ომში სიკვდილი,
თუ ცრემლი დაგდის დებისა.
ბევრს ტრთვობის ალი აჟხვიერთ
გული დასდალეთ ყმებისა,
სულში ისეთ ცეცხლს გაუჩინთ
აროდის განელდებისა,
ბევრი გაზარდეთ ვაჟკაცი
ბადალი მალლის მთებისა.
ეს თქვენი თვეც ხო ეს არი
ფრო ია-ენძელებისა,
როგორ არ მოგეფერებით,
რა ლმერთი გაგვიზურებისა.



ნატრულს შამამხვდი

ნატრულს წინ შამხვდი მზექალავ! –
გულში აშალე დარღები,
ცისკარის ვარსკვლავს გამგვანე
მზე მოვა, დაიკარგები.
ხან ზეცაში ვარ ფიქრითა,
ხან ქვესკრძალს გადავსახლდები,
იცინი – ჩემთვის დღე არი,
თუ სჯავრობ – დამიღამდები.
მე თვითონ მოვალ შენთანა –
გთხოვ, რო ნუ გამიჯავრდები,
მალ-მალე მინდა გიხილო –
გნახავ და, გამიხარდები.
მგლურად მოხტება სიბერე,
ვერაფრით გაუმჟღავდები,
ვერც გელადობით ვაჯობებთ,
ვერც გზაში ჩაუსაფრდები.
ხან გაზაფხულიც მახარებს –
ხან არც ია და ვარღები,
იქნებ სათქმელიც ვერ გითხარ –
იტირებ, გაავდარდები.
ჩემთან ნუ მოხვალ მზექალავ,
არ ამიშალო დარღები,
ყველა წელს თავისი მიაქვს –
ნახვალ და დაიკარგები.

რაღ დამესიზმრე ქალაო

რაღ დამესიზმრე ქალაო
გულის გამტებო ჯავარი,
უცხოო ჯერ ვერ გამგებო,
ვინ ვარ, საღ ვარ და რა ვარი,
შორით მცინარო ვარსკვლავო,
შუქო მზისა და მთვარისა,
ჩემთვის ბალლამის ლრუბელო
და დამქარგაო თავისა.
ჩემო ჭალარის ოცნებავ
და უკვდავების სადარი,
მომწონხარ, მინდა შენ ფეხქვეშ
გავაგო მთელი სამყარო.
ვერ ვიზამ – შენზე არა ვთქვა,
ანდა, ფარ-ხმალი დავყარო,
დავფიცე რო შენი ტრთობა
კუბოს ქარამდე ვატარი,
ნიავს მივანდე გულისთქმა,
ეს ლექსი გამოვატანო.

ფშავლის ქალს

მზექალავ, ფშაველის ქალო
რა დედამ გშობა ეგეთი,
შენ რო გიხილავ თვალითა
ჩემი მგონია ხმელეთი.
რო მიბრძანებდე ლამაზო
სამყაროს გაგიჩერებდი,
თუკი შენ დამიტირებდი,
სიკვდილსაც შავიფერებდი,
სიტყვას შენ დანაბარებსა
გულს ღილად დავიკერებდი,
ჭალარის დავივიწყებდი,
ალარიც კი გავიხსენებდი,
ჩამოვჯდებოდი ჯარზედა,
ლამაზად დავიმღერებდი.
სიმურ გავჩერეთდი არაგვსა
მათურ-ხევს დავაყენებდი,
ერთმუხლად მოარიცებოდი,
სულაც არ დავასვენებდი,
ქარივით მოგიტაცებდი –
ე მაგას შავიფერებდი,
ჩემად რო დაგიგულებდი
გულს მაშინ მოვიჯერებდი.



მე მთილანა ვარ ივრელი

ხაჭოს ჩივილი*

შამამხვდა ხაჭოს კვერაი
შამამაყარა თოლები,
ფერად კი გაშაულ იყო –
ყვითლად უჩანდა ჭროლები.
მაშინავ შამამაგინა –
მეც საჩეუბნელად მოები...
ტაფაში რისთვის ჩაგვჭერით,
ფშავლებ რადა ხართ ყროლები?!
შამაუსხდებით მურგვალთა
როგორც მშიერა ყოვები...
თან გადაჰეხავთ არაყსა,
რო შაიყრებით სწორები.
მე პურის სატანი ვიყავ,
გამოვლილი მაქ ომები,
ყველს ათჯერაცა ვჯობივარ –
ცოდვით არც დავეტოლები.
მთიულებსა და თუშებსა
საჩეუბრად დავექროლები,
თავის სახელზე უნდივარ,
მაგრამ არ დავემონები.
ხინკალიც ეგრე მოგვტაცეს
შამახვიეს ჭორები,
ჩემი სამშობლო მირჩევნავ
ფშავის დეკიან გორები,
ფშავლის პასპორტად ნათლული –
წინაპართ მონაგონები.

* 2011 წლის დამბალხაჭოს ყვირეული, სადაც ლაურეატი გავხდი.

ლექსით

მოგიძლვნი



ნუცას, ჩემს პირველ შვილიშვილს

სიამაყე ხარ ჰაპისა,
ბებოსთვის კონა ვარდების,
გაფრენილს არნივს მაგონებს
შენი გაშლილი წარბები.
შენ როცა კარგად ისწავლი
და დიდი გოგო გახლები,
შენის ცოლნით და გარჯითა
სამშობლოს გამოადგები.
თუ კი შენ ფრჩხილიც აგტაივა –
მაშინვე შენთან გავჩნდები,
ცხოვრება თუ დაგაწვიმებს –
ცისარტყელებად დავდგები,
ლმერთმა უმრავლოს ნუციქო,
ჰაპას შენფურა ბალები...

ჩემს შვილიშვილს მარიამს

მარი, ჩემო კარგო გოგოვ –
კულრაჭა და თავნება,
კაბა ალარ მოისვარო,
ბებო გაგიჯავრდება,
ველარც ჰაპიქო დაგთარავს –
თუ სახლში არ დაგხვდება.
აბა, ზურგჩანთა აილე –
ბალში გაგვიანდება,
ბევრი ლექსები ისწავლე –
ფედას გაუხარდება.



დაჩის დაბალება*

პატარავ, დიდო იმედო,
სილალევ პაპის გულისა
სიცოცხლის გამგრძელებელო
წამალო ყველა წყლელისა,
მშობლებმა დაჩის უთხარით
პაპაის დანაბარები –
არ დაივიწყოს სამშობლო
არც თავის სახლის კარები,
ჩამოდი თავის მიწაზე
ვრეჯოთ განგაშის ზარები
ჩამოდის წოწკოლაური
ყველამ დამალეთ ქალები.
დათელე შენის ფეხითა
ივრის, არაგვის ჭალები.
ისე მოუხდი საწუთროს
როგორც ლამაზ ქალს ხალები.
ვიმრავლოთ ჩვენმა მოდგმამა
მტერის დავუყენოთ თვალები
ვინც კარგი გვყვანდა გვარშია
იმასამც დაემგვანები.

* დაჩი ჩემი შვილიშვილია, რომელიც ამერიკაში ცხოვრიბს



მეულლეს*

ჩემი ფიქრების მეუფევ,
გულში დარღების ლრებელო,
ოცნებავ სიჯეელისა –
ან გაბზარულო უღელო,
ყველასგან გამეტებულო
ოჯახის ბერჯო უცვლელო.
ვერ ვიგებ, ჩემს თავს რა მოხდა,
ვის ვეყმო, ან ვის ვუმტერი,
სულში დაგროვილს ჭრილობებს
რა წამლით უნდა ვუშველო,
ჩემთვის ყოველთვის წმინდაო,
მთაო თეთნულდო უმტვერი.
ორივემ ერთად დავძლიოთ
მუხანათობა ბედისა,
მხედრულა სავსე სევდისა,
არ შეგერცხვინოთ ქალებო,
მანდილი ქართვლის დედისა!
ცხოვრებას კიდევ ვიხილავ
თუ შენთან ყოფნა მელირსა,
ჩემი ფიქრების მეუფევ,
გულში დარღების ლრებელო
ოცნებავ სიჯეელისა –
ან გაბზარულო უღელო.

* ჩემს მეულლეს ნანა აბრამიშვილს, რომელმაც ცხრა წლის განმავლობაში ემიგრაციაში იმუშავა, კერძოდ საბერძნეთში

ავალმყოფ დედას

ეგ შენი კვნესა დედაო,
გულზე დარტად მაქ გახდილი,
რარიგად დამენანები
ავალობისგან დაოლილი.
ამ ხნის კაცს-დედის ჰატრონსა
თავი მგონია ყმაწვილი,
გნახავ და შენსკენ მოვრბივარ
ბალოვით ხელებგაშლილი.
ჩემზე შრომაში გალიე
სიცოცხლის დიდი ნაწილი,
სიყრმიდან სიბერემდინა
სზიდე სიწმინდის მანდილი.
ალბათ თავს შამოგტრიალებს
შენი მეულლის აჩრდილი,
გულს ნუ დაწყვეტავს სიბერე
დიდი გივლია მანძილი,
ხო მხედავ მენაც დავბერდი,
შვილი ვარ შენი გაზრდილი,
მოჰკვდები, შენის სიკეთით
სამოთხის გზა გაქ გახსნილი,
მე ვინღა მეცყვის სიტყვასა:
– შვილო! მამიხვედ დაოლილი?!
ბოლმისგან სული იცლება
ვით თასი ლვინით გავსილი.



ჩემი მეგობრის შვილიშვილს – ელენე თეთრაულის დაბადებას

ტირილით მოხველ ელენე
ამ მზიან ქვეყანაზედა,
დედა ლვითისმშობელმ დაგლოცოს,
დაგტრიალებდეს თავზედა.
კიდევ ბევრ დაჩნდნენ ბალები
თეთრაულების კარზედა,
გამრავლდით საქართველოში
როგორც ვარსკვლავნი ცაზედა.
ჰაპასა უთხარ ბერხენსა –
დადგეს ფშავლების კვალზედა,
ბებოსთან არ მოუშვებენ,
იფიქროს თავის თავზედა,
ლამაზ წაწალი მონახოს –
დაიწვენოდეს მյლავზედა.
ისიც უთხარით ჩემგანა –
მალევ გასცვლიან სხვაზედა,
ჯერ არ მინახავ გამთბარი
ე მაგათ ცეცხლის ალზედა –



პატარა ლიზიქო გეგენავას დაბალების ფლეზე

პაპა გილოცავს ლიზიქო –
დაბერდი კარგი ბედისა,
უფალმა მოგცეს სილალე
არა გაგევოს სევდისა,
არ მოგწეოდეს ჭორები
ბოროტისა და ყბელისა,
მოგცეს თამარის გონება,
სიტურთე თეთრი გედისა,
გზა-კვალი გქონდეს ბრძყინვალე –
გული გლოცავდეს დედისა .

23.07.2013

მერაბ უძილაურის შვილიშვილს – პატარა მარიამს

პაპა ახალ წელს გილოცავს –
შვილო, დედიძმათ კერისა,
ისწავლე, ფასი იცოდე
შენი ლამაზი ერისა,
ბევრი გაზარდე შვილები
დამმარცხებელი მტერისა,
შენ თვითონ იყავ მმართველი
შენივე ბედისწერისა,
ფლემედამ კალთა გფარავდეს
მარიამ ღვთისმშობელისა.

1.01.2014



პატარა "ლიტერატურა" – მათე ალბუთაშვილს დაბალების ფლეზე

ბიძა გილოცავს ძმისწელო,
გამგრძელებელო ჯიშისა,
გამხარებელო დედისა –
იმედო ჩემი შინშისა.
გიყვარდეს შენი სამშობლო,
დამცველი იყავ გვარისა,
მარჯვედ იცოდე ხმარება
ბექთარის, ხმლის და ფარისა.
ბორბალის სიმალლე გქონდეს,
ძალა, მანძილა ხარისა,
გფარავდეს სალოცავები
ჩვენი მთისა და ბარისა.

30.07.2013

ლექსით მოგიძლვნი

* * *

ჩემთვის უცნობ ლაფანყურელ მოლექსეს
სერაფიონ რუსულაშვილს
— დათო თეთრაულის ხელით გაგზავნილი

შენ ჩემო ბატარა შინშო
აგრემც მე მოგხდი წერასა,
ჩემ დანაბარებ უთხროდი
იქ ლაფანყურში სერასა,
დიდად აქებენ ლექსშია,
ამბობენ თავისწვერასა.
იქნებ ქალაქში მესტუმროს
დამილოცავდა კერასა,
მდიდრულად თუ ვერ დავხვდები
ჰურს ხო შავაჭმევ ხმელასა.
მეზობლებს დავესესხები,
ჩაუთლი ხაჭოს კვერასა.
თავად ვერ მოვა, მე მივალ,
მივეახლები ძერასა,
სოფელში ქვრივებ დამალოს,
თორო მოვტაცებ ყველასა,
ერთ წამში თავებს დავაჭრი
უკან მოყოლილ მდევარსა.
ლოგინზე მიჯაჭველი ვწერ,
იმით ვერ მოვხვდი თელავსა,
ფშავლის ხასიათ ხო იცით —
წევს და ქურებსა ჰბერავსა,
მაგრამ თავისი გონებით
დალოცვილი ჰყავ ზენასა,



3ერცერთი კუთხის ქართველი,
ვერ იტყვის ჩვენოდენასა,
ვერ შაგვიცვლიან ძალატა
რჯულს და კაცობის რწმენასა –

მარიამ ხუცურაულს – ჩემს მეგობარს

ლექსით მოგიღვნი სალამსა,
მოზარევ ჩვენი ფშავისა,
მოზიარე ხარ ყოველთვის
ჩვენი ტყბილის და მწარისა.
ყველაზე კარგად შენ იცი
ფასი ამ მზის და მთვარისა,
მტერთან ხმალამოლებულო,
მოყვრისთვის გამლე კარისა,
ძმებში გაქ შენი ადგილი
სამაგალითო ქალისა.
ნეტავი მალე შაგყარა
ვინ არის შენი წერისა,
მინდა რო ოჯახი გქონოდეს
გამლვივებელი კერისა.
დედაა მულამ გამზრდელი,
დამცველის თავის ერისა,
ყმათა სიმრავლე თემშია
სიმავრე არის წელისა,
დარაჯო დაუღალაო
სამშობლოს ზღვის და ხმელისა,
იმიტოც გქვია სახელი
მარიამ ღვთისმშობელისა.



მერაბ უძილაურს 60 წლის იუბილეზე

სალამს მოგიძლვნი ძმობილო,
ქომაგო თავის მხარისა,
არ დაიდარდო სიბერე
რქანიც სწევს ბერის ხარისა.
ცხოვრება გამაიარე –
გემოც გაიგე მწარისა,
ადამიანის სიცოცხლე,
ყოფნაა ერთი წამისა.
მე ჯერაც ვერა გავიგე
საწუთოს სამართალისა,
ცოცხალს არათერით ვაფასებთ –
შაქება ვიცით მჟღდარისა.
კარგია რო არ შაგრცხვება
დატოვებული კვალისა,
იცი კაცობის საზომი –
ყალირი ამ მიწა-წყალისა,
ტურთაა სანახავადა
როგორც სინაზე ქალისა,
ყალმით და კალმით დაჰხატე
ხედები ილტოს ჭალისა.
ვაჟეაცი გულიანი სჯობს
ხელთ ვადა ეპურას ხმალისა,
სულ ერთი არი ვინცა ვართ,
ხშირად მთქმელი ვარ ამისა,
უნდა სამშობლო გიყვარდეს
როგორც გამჩენი თავისა,
სიკეთე უნდა აკეთო



ლექსით მოგიძლვნი

არც გეშინოდეს ავისა,
საამაყოა მუდამა
ძმასთან შალება კარისა,
ფშავლებს ხო კალთა გვფარია
დიდი ლაშარის ჯვარისა...

გელა დაიაურის

თავით ბოლომდე შამზარა
შენს კარს სიკვდილის მოსვლამა,
იმათ სამჯვიდროს წასვლამა
სამზეოს ყოფნა მოშხამა.
სულში სულარა ჩაფინა
გულს მოწოლილმა ბოლმამა.
სირეგვნემ წუთისოთვლისამ,
თავისი რით ვერ მოჭამა,
შენც მძიმე ჯვარი აგებიდა,
სოფლის სიფლიდით მორთვამა.
თოროვას ციხეს შასტირე,
გამაგროს გვერდით ყოფნამა,
უნდა გაუძლოს ვარამსა
ჩვენმა ხიშმა და მოლგმამა,
არ დაიმჩოქო, გამაგრდი –
რქით მიწა ჩხვერის ჯონგამა.



ტარიელ ხარხელაურის დაბალების დღეზე

სამოცდაათი წლისა ხარ
გულით გილოცავ ძმობამა.
ვერა დაგაყლო ყამთასვლამ
წუთისოფელის წყობამა –
სამოცდაათჯერ მოსვლამა
გაზაფხულმა და რთვლობამა,
რამდენჯერ წერაის ველზე
აღდგომამა და ბზობამა,
თეოზე ნაბალში წოლამ
სულ მუდამ მთაბარობამა,
ვერც ყინულიან ქედებმა
ბათქნებით თამაშობამა,
სიკვდილის მოსვლამ კარზედა
თავისიანთა მტრობამა,
თმაში სიბერის ზამთარმა
გულით ყინულის დნობამა,
ომებმა ქვეყანაშია
ხან დროს კი შიმშილობამა,
მამულზე ფიქრმა გაცოცხლა
თან-თან ქარცეცხლში წრთობამა,
ვერა დაგაყლო ბორილან
შერით მავანთა წყრომამა,
სამშობლოს კარის დარაჯო
ნუმც გილალატოს გრძნობამა,
ნუმც მოგაყენოს ზიანი
შინშებთან ძმობილობამა.

2015 წ., თბილისი



მერაბ უძილაურს

კარგი ხარ უძილაურო –
ვაყი ხარ გულით ალალი,
გაიდრიცები წელშია
ღაჰყივი როგორც მამალი.
ნურც მაგით გამიჯავრდები
კაცმ რო შაგეალრის მართალი –
ორ-სამი დაგდევს წაწალი –
ჰეატრონობ როგორც სარტალი.
ძოლან რო გნახეთ ერთადა,
კინალამ თოფით მამქალი.
ლობიდან გადმოგითრინდი
ისეთა დამეც თავზარი.
ამ წინებში მოგაჭრეს
თითი რო გქონდა დამდგარი,
შენ წაწლებს მე ვათირებდი –
ისევ ზედააქ მთავარი,
შენ თუ ურჩი ხარ სატვრევი
მეც კირქიდ შაგხვდი კაჯალი.

ტარიელ ხარხელაურის

შენ ჩემო წინამორბედო,
ლექსის ღმერთებთან საცარო,
ხან მყინვარივით გოროზო,
ხან მშობელივით გამთბარო.
ხან ქარიშხალო მთიდანა,
სიოვ ივრისპირს ნატარო,
ხან ხმალო დაულეველო
არსალ აროდის გამტყდარო,
ხან კულაპტარო წმინდაო
ხატზე დალვენთილ-დამდნარო,
სამშობლოს საյურთხეველზე
ათასჯერ მაინც მამკვდარო.
ხან გულო სააკაძისა
მგლისფერი ციხის ნაშალო,
კვირიავ, ობოლ ფშაველო,
ბახტრიონის ყარს შამხდარო.
იქნებ შენ მაინც მიშველო –
ფრთხები როგორმე გავშალო,
ნამუსით წინაპრებისა
ჩვენი სამშობლო ვატარო.
ძირ-ფესვი ბოროტებისა
სამედმოდ დავასამარო,
გპირდები, მელამ ვიომო –
ფარ-ხმალი არსალ დავყარო ...



ერეალე სალლიანს

გუშინ გისმინე ერეალევ,
ბოძო სვანურის კერისა,
სამშობლოს მემატიანევ,
ნამდვილო შვილო ერისა.
მოყვარევ მოყვარესთანა,
ხმალით დამხვედრო მტერისა,
საჩვენოდ მოატრიალე
ბორიტი გული ბევრისა.
კიდევ გამოჩნდი მჭედელი
გრიფემლზე დამრტყმელი კვერისა,
შენსავით მეც მჭირს იარა
სამშობლოს ბედისწერისა.
კიდევ გაგვიჩნდა იმედი
მამულის გადარჩენისა,
ვისაც სამშობლო არ უყვარს
მოციქულია მჟღლეთისა.
ამბობენ ჩვენი ქვეყანა
წილხვედრი არი ლმერთისა,
თავისი მადლით დაყვება
სვეტიცხოველი მცხეთისა,
ჩვენც უნდა ცრემლი შავიშროთ,
ცრო დალგეს ალმა დენისა,
ვფიქრობ – რო ჟამი დგება
ცაზე არწივთა ფრენისა,
კი მოვილხენდით მთურადა,
თუ სიხარული გველირსა.

პოეტ ელგუჯა უძილაურს

მოგესალმები პოეტო –
შვილო, ლამაზი მთებისა,
მაჩვენეს შენი ნაშრომი,
მაღლობელი ვარ ძმებისა.
ვიცი რო ჩვენი ნაწერი
შვილთა თაობას რჩებისა,
პოეტის ჭევა და გონება
სიტყვით არ დაითვლებისა,
ლექსი ლამაზად ნათქვამი
მთემელს შუქად ამაჟხდებისა,
მებრძოლი არი მარადეამს
ლვარძლის ბოროტი ხმებისა,
ლექსი ყინულსაც დაადნობს,
ვერ სცვეთს ყამთა სვლა წლებისა,
ვერ წაშლის ზოვთა ქუხილი
ვერც ადიდება წყლებისა,
ვფიქრობ ეგ შენი კალამი
არასტროს დაიღლებისა,
ღმერთო! მაჩვენე სიმრავლე
ლაშარის ჯვარის ყმებისა.



ჟურნალისტ მერაბ უძილაურს*

არ დაიდარდო, ძმობილო,
გულს ნუ დაადნობ დარცითა,
ჩვენი თაობის ცხოვრება
სავსეა ეკალ-ბარცითა.
რო გავჩნდით, არვინ დაგვიხვდა
ხელში ნაჭერი ვარცითა.
მოვდივართ ჩვენი შრომითა,
ჩვენი საგზლით და ბარგითა.
მე დიდად თავს არ შეგაწყენ,
ცოტას კი გეტყვი ქარგითა.
ჩვენაც მოგვადგა საწეორო
სიბერის ცივი ზამთრითა,
მოველით, ისევაც წავალთ
ჩვენი ხმლითა და აბჯრითა,
ვიფიქროთ ეკან რა გვრჩება
ჩვენის ალალი გარჯითა,
ხო იცი, წეთისოთველი
ბოლომდე ვერწინ გაცვითა.
ესე ყოფილა სიცოცხლე
თავის ცეცხლით და ნაცრითა,
შენც იცი, ეს ჩემი გრძნობა
ჯავრმა რამდენჯერ დაფლითა,
ვერც ზარავანდით ვუწამლე,
ვერც ვერათვერი თაფლითა,
ვერ ეშველება ტირილით,

* ფეხის ამჟეტაციის შემდგომი პერიოდი – ძალან დარციანი მომეჩვენა.



ლექსით მოგიძლვნი

ვერც რა სიავის გაცვლითა.
არ იჭირება კალმახი
გვერდებლამტვრულ ფაცრითა.
ვერც იუდეველთ მაიგეს
იესოს ჯვარზე გაქვრითა,
უნდა ვახაროთ სამშობლო
კარგი მომავლის გაზრდითა.

აგვისტო, 2013 წ.



მიხა ხელაშვილს

მუხთალო წუთისოფელო
გარემოცულო ბნელითა,
არ გაახარებ ჯეილსა
არ ავლევ თავის წერითა.
შამენანები მიხაო –
მოკლულო ძმების ხელითა,
დაგცალა წუთისოფელმა –
სისხლიც გაჩვენა დედისა,
სამშობლოსათვის მებრძოლო
სამშობლოსავით ბედისა.
ახლოდან დაგყრვენ მძინარსა,
ალიც გროვს თოფის ჰირისა,
საშებმა იორის აცნობა
სიკვდილი დიდი გმირისა
კი გაიგეთა?! ფშავლებო,
მოტეხვა ცის ნაპირისა,
შავებს ჩაიცმენ მთა-ქლდენი,
ახუნის გორიც ტირისა.
დაგმარხვენ დედის გვერდითა,
გმინვა მიუვა შვილისა,
რამდენი თან ჩაიყოლე,
ნააზრი შენი ტვინისა,
უფალო სული აცხონე
ორივეთ დედა-შვილისა,
როგორ შავძელით ფშავლებო
ატანა ამ სირცხვილისა.

თემურ წიკლაურის ხსოვნას

ცუდ დროს გაჯობა სიკვდილმა
სამშობლო ქვეყნის მოზარე,
რამდენჯერ შენის სიმღერით
თვალებზე ცრემლი მომგვარე.
მიუხვალ მამა-პაპათა
ვალმოხდილი და მართალი
დავლათიანი ხალხშია
სამეგობროში ალალი,
სულ ხალხის გულში იქნები
აი, ეს არის მთავარი
ბრალია შენი სიკვდილი
ადრე დაგილგა ზამთარი
სულეთში მოგეგებება
ძველ მომღერალთა ამქარი.
მნათობი სინათლით ფასობს
წყარო ანკარა ჩქეფითა
სიმღერით კვდება ბულბული
მთების არწივი ყეფითა,
ესეც ბუნების წესია –
ზოგ ვკვდებით, ზოგნი ვრჩებითა.
არ ამოვწყდებით ქართველნი
აროდის გავთავდებითა
წავიდეთ სახელიანნი
სხვას ვერას ვიგებთ წლებითა.

თიანეთი, თებერვალი, 2021წ.



ჩემი მეგობრის, მურად სოლომონიას ხსოვნას

შენ რო ჰქვდებოდე, სიკვდილო –
არა ხარ შასაბრალები,
რამდენის დედა ატირე –
ცრემლით დასთხარე თვალები,
რამდენს შაულე უფროოდ
ცივი სამარის ყარები.
მოციქულ გამამიგზავნე –
სიტყვა მაქ დასაბარები,
დედას გიტირებ, ვერ მომჟლავ,
ახლოს ვერ გამეჯარები,
პირისპირ შეგხვდე ვიომო
მთებსა სწყდებოდეს ზვავები
გაგგზავნო ჯოჯოხეთშია –
შენს დედას ეცვას შავები...
მე კი სამას წელს ვიცოცხლებ –
თუკი ცოცხლობენ ყვავები.

აგვისტო 2015 თიანეთი



ტარიელ ხარხელაურს

ბეჭა ხარხელაურის ხსოვნას

ვეფხისტყაოსნის გმირი ხარ –
დასახსნელი გყავ ნესტანი,
ოსტატო ბრძნელი სიტყვისა,
მე მართალს ვამბობ ღმერთმანი.
მთელი ცხოვრება ხმალს იქნევ –
ვერ გაიხადე ბეჭთარი,
საშობლოს საღარაჯოზე
ვერკვლის ციხე ხარ მეტგარი.
ზოგთად თაფლივით ტყბილი ხარ,
ვისთვის კი მრარე ნესტარი,
სად სიმაგრეა საჭირო –
ცით ღრუბელი ხარ მჭეხარი,
მომავალს ბურჯად უდგეხარ,
როგორც გრემი და კლდეკარი.
ვერ მოვშლით ბოროტებასა –
ვარ სულ მაგისი მყეფარი,
ვისთვის ცხოვრება ცრემლია,
ქრება სიცოცხლე მჩქეფარი,
ზღვასა ჰგავ აღელვებულსა,
მშობელის გული მჯვნესარი,
ღმერთმა ეგ შვილი გიცხონოს –
ვისი მოვლენის ფლეც არი...



ლექსით მოგიძლვნი

* * *

ჩემს ძმას, რომლის თიკუნიც „ყორანი“ იყო
— ახალგაზრდა გარდაიცვალა.

მე შენი მამწონს ყორანო,
დარღი არა გაქ ხვალისა,
შენ არც ცის ჭექა გაშინებს,
არც ადიდება წყალისა.
არც ლექტე ორბთა ყარყაში
მოშელლეთ სისხლით მთვრალისა,
არც წყველა ქადაგ-მჟიოთხავთი,
არც მზერა ავის თვალისა.
არც გაყრითობს სიკვდილის ნახვა,
არც ხმა მოზარე ქალისა,
არც ომში გიყვარს ძმობილო
შარჩენა ვისმე ვალისა.
ისევაცა გჭირს ნაბრძოლი
ნაიარევი ბრჯლალისა,
დაუხელუზნებ უფსერულსა
ნაძმობი ყლდისა სალისა.
თვალები შჭამე ხარ-ჯიხვის,
დაჭრილის ებში მკვდარისა,
შენაც გადმოგწვდა ქამანდი
საწუთოს სამართალისა.
არა სცოდნია გარჩევა
მამაცისა და მხდალისა,
დარღი მამიძლვენ საჩუქრად
გულში ამშლელი ბრალისა,
ღამით ქვითინის ხმა ისმის

ლექსით მოგიძლვნი

მშობელი ივრის წყალისა,
სულით იალიმც იქნები
ბალალო ოქრო-ლალისა,
სულეთში შუქი ჩაგიძლვეს –
წმინდა კელაპტრის ალისა.

მამის საფლავთან

მოველი ჩემო მშობელო,
სალამი მამაქ მთებისა,
ლომი ხარ გაუტეხელი
ყველაზე მძიმე ზლებისა.
მოგივა დანაბარები,
ბრძოლაში დამრჩალ ძმებისა,
ფედათა დაუტირები,
იმ ჰირტიტველა ყმებისა.
გპირცები, მათთვის სანთლები
სულ მუდამ აინთებისა,
სამკვიდროს თქვენი სულები
არასდროს გაიყრებისა.
მოგივედ ხელსანთლიანი
თვალებში ცრემლი დგებისა,
შენ ადგილს მე ჩამაყენეს
ესეც წესია ბეღისა,
შენ შვილებს გვირგვინად გვალგა,
ქალობა ჩვენი დედისა.
გული გამამზევს შენთანა,

ლექსით მოგიძლვნი

საქმე რო გაჭირდებისა,
მინდა – რო შენგან ვისმინო
სიტყვები დარიგებისა.
არ დაიდარდო – გულისთქმა
უსიტყვოდ გაიგებისა,
არცრაც სიკვდილი იდარდო –
გმირი არასდროს კვდებისა.
უკან მოგყვება სიკეთე.
ამ ბენი მომავლებისა,
ვიცი – რო მომავალს ლოცავს
ბუბუნი პაპათ ძვლებისა,
თქვენგან სიკეთე ნათესი
კელაპტრად დაგვიძლვებისა...

ჩემი ძმის გარდაცვალებაზე

სულ შენ რადა ხარ სიკვდილო
კაცის სიცოცხლის მდევარი,
უჩემრად ჩაუსაფრდები
როგორც ირმის ჯოგს მწევარი,
გაინავარდებ სოფელში
მითომ მინცორში ჯერანი.
ბევრს ჩაუშალე კალთაში,
ცხარე ცრემლების მტევანი,
რადა გვმტრობ, დიდხანსა ვცვითოთ
წეთისოფელი ვერანი.
ცოდვა კი არი უცდელი
თავის სუდარის მყერავი
წასული ბევრი ვიხილე
უკან მოსილი ვერავინ,
ბევრჯერ მადინე ცრემლადა
დარდები გულის მსერავი,
ვერ გაასწორებს გულისთქმას
ვერაგი ყამთამწერავი.
კიდე გაჩნდება გვარშია
კაი ყმა შების მთერავი?!
რად მეფობს წეთისოფელში
კანონი დაუწერავი.



დედის გარდაცვალება

გემშვიდობები დედაო,
გულს დარდი მაწევს მწარია,
ვეღარაფერით გიშველეთ,
სიკვდილმა გაგურა მხარია.
მიხვალ, სამყვიდროს დაგხვდება
შენი ლომგული ქმარია,
ათასი ჭირის მნახველი
ბერი მანძილა ხარია.
მანდაც დასხედით ჯარზედა
მანდ დაიწერეთ ჯვარია,
მეუღლეს მიემსახურე,
მიუტანოდი წყალია,
მაიხალოდეთ მანდაცა
იმქვეყნიური ვალია.
ღამეს ვათენებ ფიქრშია,
სულმა ბალღამი დალია,
დამარხვა თავის მშობლისა
ვაჰმე, რა მეტად ბრალია.
მამაგონდება ბალღობა –
ჩამამდის ცრემლის ლვარია,
ნურც იტყვი შენი სიკვდილით
გასწორდეს მთა და ბარია,
ესე ყოფილა საწეთრო,
ხან ტაბება, ხან კი მწარია,
სამზეოს არვის დაგვარჩენს
გვალნობს ვით კელაპტარია.
ვერა გშველს ჩვენი ტირილი,



ლექსით მოგიძლვნი

დიდი გლოვა და ზარია,
ყველას მოგველის სიკვდილი –
ცივი სამარის კარია,
წვრილად მაუყევ მამაჩემს
ეს ჩემი ნაუბარია.

შინშებ

რაღამ

მალექსებენ

* * *

შინშებ რაღამ მალექსებენ –
 მიღუჭებენ ბაშარასა,
 თეთრაულს რაღა მაუნდა
 ნაომარს ძმას ბატარასა,
 მე თუ ე მაგის პატრონი
 ჩავაცმევდი მაზარასა,
 მაგას ჯარში გავგზავნიდი
 დავკაიდებდი ნაგანასა.
 ლექსის თქმაში მივაფერე
 რაზიყაანთ ბაჩანასა,
 ბულიდან გადმუარდნილსა,
 არწივთ მართვეს ნაგალასა.
 უძილაურს რაღა უქენ –
 გაზეთების ქარხანასა,
 ეგ რო თვალებს დააკვესებს,
 ეშმაქასა ჰგავ სატანასა.
 იმერულად გაზდილია,
 ბალოს ეძახის ბაღანასა,
 ტარიელიც ხშირად მაქებს,
 ყვავ რო თავის ბახალასა.
 ეგაც სუ გზაზე ჰყულია –
 გაკრულია გზა-შარასა.
 მაგას ძველი დრო ჰგონია
 რო დასლევდა ცხვრის ფარისა,

* ეს ლექსი მიძღვნილი მაქვს ჩემი მეგობრებისთვის, ჩვენ ერთ-მანეთს შინშებს ვეძახით. ნახსენებია – დათო თეთრაული, მერაბ უძილაური, ტარიელ ხარხელაური და ცოტნე ალბუთაშვილი.



შინშებ რაღამ მალექსებენ

მე ეგ გაქცეული ვნახე –
ცხენსა სჯობდა საღარასა.
ისევ ჩემ შინძს ვენაცვლები,
მავნესა და მაგარასა,
ქისტურად ხელს ჩამამართმევს –
სალამს მეტყვის სხვას არასა.
წითელ თვალები დაჰქონან,
როგორც კურიდლელს ნაცარასა.
ბაძეძნობაშია ჰეგავის
ჩემ დედიდა თამარასა,
შამუა და შამააჩენს
არაყიან მათარასა.
მაგის დობილსამც შამყარა,
ქათამივით ყაჟანასა,
მაგ ქალს მამატაცებინებს,
გამხდის ქვეყნის მასხარასა.
ნეტა ამათ დამაშორა –
უფალსა ვთხოვ სხვას არასა,
ფშაველთ მიყოლ-მოყოლა ჰეგავ,
ნაშალაის ბარარასა,
ჩვენ ჯიშს ვერსად გავექცევით –
ცხენ რო თავის ავშარასა...

* * *

კარგი ხარ ხაჭოს კვერაო
შეა გულამდე დამბალო,
ნახელო ბებერ დედისავ
ფშავლების საცილ-საგზალო,
ტიალო ხაჭო-ერბოო
ყველა საჭმელის ბაღალო,
ნაძმობო წიწანაქრისა
გლეხი კაცივით ალალო,
მაშ მოკვდეს ხუზაურაი
თუ სხვა რამეში გაგცვალო.
შენც გვერდით მამიჯდებოდე
ჩემო თვალლურჯო წაწალო,
გულო ჰლალობდე, იმლერდე
ხან ფხიზელო და ხან მთვრიალო,
კარგია ჩვენი ადათი
სავაჟეაცო თუ საქალო.

ახალუხლებს

დავბერდი, ჩემ თავ გენაცვლოთ –
მიჭირს ხმარება ფარისა,
ჩავლიე წეთისოფელი
ლარაჯალ ქვეყნის კარისა,
ერთგული ვიყავ მუდამა
ჩვენ კურთხეული მხარისა,
დავცადე სამშობლოს გული
გული მთისა და ბარისა,
ლომგულ მეფეთა აკვანი
ბაგრატოვანთა გვარისა,
სულმნათ ერეჯლეს ომები
გრიგვინვა ქართველთა ჯარისა,
დიდი რესთველის კალამი
სიწმინდე მცხეთის ჯვარისა.
ჯერი თქვენზეა, ვაჟებო!
მოჰსინჯოთ ძალა მელავისა,
ერთობით ძალა გექნებათ
მთით მოვარდნილი ზვავისა,
უნდა გიყვარდეთ სამშობლო
როგორც გამჩენი თავისა,
სიბრძნე გქონიყოსთ დავითის –
გული დიდმოურავისა,
მიწამ სიმღიდოე მოგერძოთ
ბარაქისა და ხვავისა,
ციდან უფალი გფარავდეთ –
სალოცავები ფშავისა,



არასცოროს დაგჭირვებოლეთ
მტერთან დაფრება ზავისა.

2015 წელი, დეკემბერი

მთქმელებს

სადა ხართ მოლექსებო –
თავს ხვარ ანებებთ მღერასა,
ჩამსხდარხართ თავთავისთვინა,
უყურებთ თავის კერასა.
ბობოქრობს ხუზაურაი –
საომრად შებსა ჰერავსა,
მალმალ მოავლებს მთის წვერებს
ბებერ არწივის მზერასა,
ლექსის თქმა მოჰვარებია
რო ჩიტის სისხლი ძერასა.
ჯარიბას ჩამაუჯდება
მთქმელებსა თავის ფერასა,
ნინაპართ სულებს ახსენებს –
დაჰსერავს ქადის კვერასა,
დაჰყვება ხელსანთლიანი
წერა-მწერალის დენასა
ბოლოს კი ვერც ეგ წაუვა –
ამ წეთისოფლის წერასა.



შინშებ რადამ მალექსებენ

* * *

სტუმრალ მეწვივნენ სახლშია
ჰოეტ მგოსანთა ჽამქარი,
მიყვარს მაგათთან ქეიფი –
სიბრძნე აქვთ მაინც სხვაგვარი.
თამაღობს ხარხელაური –
ჰოეტთა მამამთავარი,
ლამაზალ ჩამოგვილოცა
ჩვენი სამშობლოს მთა-ბარი...
არაგველ ბოროტალ მიმზერს,
გამოხედვა აქვს საზარი,
კი იცით, ხუზაურაი
ვაჟია ნაცალ-ნატარი,
მუქარის ისე გააქრობს
მზეში რო თოვლის ნაქარი.
აქეზებს ხარხელაური
აქთ ერთი სიცილ-ხახანი,
ვერ კი ასწავლა წესზედა
ფშაური ლექსის ანბანი,
ნეტავი თვალით მაჩვენა –
ფავლოცო მაგის აკვანი,
ბევრჯერ კი გავაჭიმვინე
მწარე ლექსების ჭაპანი,
ბოლოს კი დავიჯილავე

* ჰოეტთა სტუმრობა თიანეთში, ჩემს ოჯახში, ცოტნე ალბუთაშ-ვილი, ტარიელ ხარხელაური და ნოდარ ოდიშელიძე.



შინშებ რაღამ მალექსებენ

წყნარია, როგორც ბატყანი,
მაგის დობილსამც შემყარა
დამხურის თავის საბანი
ნუ მიწყენს, ეგრე ხუმრობლენენ
ის ჩვენი მამა-პაპანი.

აპრილი, 2015 წ.

ჩაბანოელ ლოთებს – ჩემს მეგობრებს

დამასტეს გორჩე ხალხი ჩანს –
აუჭრელებავთ ფერდები,
გულმა შინშისკე გამწია –
წავალ, მეც შავუერთდები.
მაგ ჩაბანოელ ლოთებსა
აბა, მე რას შავეცრები:
დამათვრეს, ფეხით გავთელე
ჯამებ-ქვაბები, ველრები,
მეჩხებნენ, მჯიღი ვიხმარე –
სუ დავამტვრიე გვერდები.
მეფერებიან ქვრივები:
– ბიჭო, შენ არა ჰბერდები...
ლილით ისევა ლრეობენ –
ეგენ ცოცხლობენ, მე კავდები,
ნადირ არ გაიწერთნება,
ვიფუიქრე – ჩემთვის ვეგდები,
მაგათან ჯდომა-ყოფნითა
მე ვიცი – ვერ ავშენდები.



ეორა კოჭლაშვილის ხსოვნას

ბრალია შენი სიყვდილი –
ცოდვით ბუნებაც სწყორებისა,
საწუთოს ესე სცოლნია –
ვინც ჩნდება, კიდეც ავდებისა.
სიყვდილ-სიცოცხლე ძმანია,
აროდეს გაიყორებისა,
ვინ აღრე წავალთ, ვინ გვიან –
რა გაიგება ბედისა.
ყოფნა-არ ყოფნის სასწორი
საითქე დაიხრებისა,
საფლავებილან ხმა მოდის
იმ გმირი წინაპრებისა,
რო იყვნენ ძალგულოვანნი –
გამჯავრებლები მტრებისა.
შენც მამა-პაპათ მიუხვალ
თავი ნე შაგნანდებისა,
საჯითხავია რო წავალთ –
კვალი როგორი გვყვებისა,
დავტოვოთ შთამომავლობა –
კერა არ გაცივდებისა.
ბედნიერია ის კაცი
სად ჩნდება, იქ რო რჩებისა
კარგია სამშობლოს მიწა,
გულზე რო დაგეყორებისა,
გიგონებს ახალგაზრდობა
ხან რო გამოვა წლებისა,



ვფიქრობ, ეს ჩემი ნათქვამი
აროდის წაიშლებისა.

2013 წ.

ცოტნე ალბუთაშვილის დაბადების დღე

შაიკრიბარ შინშები –
ლექსის იხდიან ვალებსა,
გასთეთრებია თმა-წვერი
ბებრებსა ჰევანან ხარებსა,
ცოტა გვერდ უზის უმცროს ცოლს,
ნაბავს ციცაის თვალებსა,
დაბადების დღეს უხდიან –
მაუფიქრებავ ქალებსა.
რა ცუდ დროს დაბადებულა
დიდმართვის პირველ ღამესა,
გვერდს უზის გულამაყრელი –
ლომსა ჰგავს მწოლიარესა,
სიბერით შეშინებული
რეკავს განგაშის ზარებსა.
თუ გაჯავრდება ძმობილი –
მაგას რა დაიზავებსა,
ე მაგის სახელიმც მომცა
დევებს დავჭრილი თავებსა.
შამუა ლაფანყურელი –
შამაიყოლებს შარებსა,
მალიმალ გაილექსება
სიტყვებს ამასთქმოს მწარესა,



შინშებ რაღამ მალექსებენ

შახედულად კი გნოლსა ჰგავ
ჟაჟაბის მოზიარესა.
ბოლოს ზის ხუზაურაი –
ჰირ უგავს ციხის კარებსა,
საც მივა, გულით მიიტანს
სამშობლოს დანაბრებსა,
ლექსს იტყვის გონივრულადა,
ლოცავს ზეციურ ძალებსა.
თან მხრებში შაიჩეკება
დააკრიალებს ქალებსა.
გამოვა, გაჯავრიებული
მააჯახუნებს კარებსა,
თქვენ აფუება კი დავწვი,
რაღ არ ასვენებთ თავებსა
მუდამ თქვენ მაყურებელსა
ნეტა რა გაახარებსა...

თბილისი, 2015 წ.

* * *

გამიხარდა – კაც ვიპოვნე
ჭკვა-გონებით შამქობილი,
რა უჭირს ალბუთაშვილსა
ცხოვრება აქ აწყობილი.
მრჩევლებიც კი ბლომადა ჰყავ,
ზოგ წანალი, ზოგი ფობილი,
თავისებს არას მაუსმენს –
იმათ არი დანდობილი.
თებერვალში ვაშლი კრიფა,
დეკემბერში კარტოფილი.
მგონი ბირქასაც გაუგავ –
ლოცავს პირქვე დამხობილი –
უფალმა სოფელს აჩუქა
კაცი ესეთ გამოცდილი
აქით სამოთხეში წავა
სიცოცხლეში ვალმოხდილი.



პოეტ ქალთა შეკურება*

პოეტი ყრილობას დავესწარ,
ჩამამსხდარიყვნენ დედანი,
კაცი ჩემ შინში ეტანა,
ნერა ხვარ არი ცველანი
მათურელთ ქალი ლულუნებს
როგორც ბებერი ქედანი,
სულ მაგასთანამც მამყოფა,
არ მოვიზყენდი ლმერითმანი.
ქალებ სუ ანგელოზნია
ცოტაად თავისწვერიანი,
ბურჯები პოეზიისა
ლმერითმა დალოცოს ყველანი.
არ დაიღალონ წერითა
არ გაუთავდეს მელანი,
იფრინონ, როგორც მიჰქოდა
ბარათაშვილის მერანი.

08.03.2012

* მოზარდ მაყურებელთა თეატრში პოეტ და მწერალ ქალთა შეხვედრაზე მიმიპატიჟეს. პრეზიდიუმში მამაკაცი მხოლოდ ცოტნე ალბუთაშვილი აიყვანეს. მინდოლა სიტყვით გამოვსულიყავი და არ გამომიყვანეს.

* * *

ლექსი ვიუბნოთ მთქმელებო
ძარღვიანი და მაგარი,
ცაზე ქუხილად მოვიდეს –
მინას გაჰქონდეს ზანზარი,
ერყოლასა გვრგვიდეს ტანშია,
მტერს ეცემოდეს თავზარი,
არ იყოს მშიერ-ტიტველი,
მუდამ ჰყვაოდეს მთა ბარი,
ვალმერთოთ ჩვენი სამშობლო,
ჰპათა ნაამაგარი,
ისე გამრავლდეს ქვეყანა –
როცა მეფობდა თამარი.

2011 6.

შინშს ცოტნეს

ჩემ შინში ვნახე ძოლანა,
ცარიელ ყურებ დამრჩალა,
მე კაი ჯანზე მეგონა
კელაპტარივით დამდნარა,
ცხოვრების მეტი ნაწილი
სუ შენებაში ატარა,
ბუნების მესაილუმლე
თან მექალთანე გამხდარა.
არ მაჰევდე ბევრის შრომითა,
ცრემლიანი არ მატარო,
ღმერთმა ბევრ მოგცეს ქონება –
მაგით ვერ გამამაჯავრო.
ჭევას დაგარიგებს შენი ძმა
ორალ გზა-კვალზე დამდგარო
ორ ცოლს ორ სახლი რო უნდა –
არ იცოდია?! თავმჟვდარო...
გისველებს ტანისამოსსა
ოფლი ზედ ჩამონადენი,
ზოგან ზედსიძედ მიხვედი –
რით ვერ ისწავლე მაგდვენი.

ალბუთაშვილს

გუშინ დილითავ დავითვერ,
ვგრიხე ეშმაქის ბაწარი,
შეატამისას წამოვდექ,
სულ ამრევიყო ყამქარი,
შინშო, შენ მამაგონდი,
შენ გაკეთებულ-ნაქნარი,
ქვრივების გზაზეცა სფგებარ.
როგორც თუშების სარქალი,
ნეტაი გამაგებინა,
ე, მაგათ ბაზარ სად არი?!
სამი-ოთხს მაინც გიყიდდი –
მიჰურინდე, როგორც აფთარი,
დლე-ლამე არეული გაქვს –
დასტიხარ, როგორც ჩათვარი,
ლოთი და ქალთა მიმყოლე
სუყველა ყროლი რად არი,
ბევრჯერ კი მენაც ვიბოლმე,
გამოგიტყდები რაც არი,
ხან ვიტყვი, მოდი – დავყვერი,
ყვერჩი მოაკრია ბაწარი,
შვილ-რვა კრუხობა მაასწრიო,
მე სადღა ვიყავ თავმჯვდარი,
მეც შენ გზას უნდა დავადგე
დამინიავდა ნაცარი!...

10.02.2010

შინშს ცოტნეს

ჩიოდა ალბუთაშვილი,
სიტყვას ამოსთქომს მწარესა,
რაც უპატრონოდ ქალ დარჩა
ყველა მე დამამწყრალესა,
როდამდე უნდა ვიბრძოლო,
ვფარავლე ქვეყნის ვალებსა?!
ზამამეპარა სიბერე,
ვეღარ ვედივარ ღამესა,
აჯილი მყავის წაწალი-
ჰინ უგავ სავსე მთვარესა,
მივალ და მივეყუდები –
მივეკაკუნებ ქარებსა,
რო ვეთხრა! ოქრო მაჩუქე –
იმას არ დაინანებსა.
ჩემ შინშიც გამიორგულდა,
დადგა რისების მხარესა,
მალ-მალ მიგზავნის ლექსებსა –
მოქითხვას დამიბარებსა,
თან დამარიგებს ჭკვაზედა –
ეგენ დაგთხრიან თვალებსა.

15.09.2010

შინშს ცოტნეს*

რა გიჟირს ალბუთაშვილო-
განთქმულო ლვინის სმაშია,
ორ-სამი ცოლის პატრონსა
ერთიც არა გყავს სახლშია.
თორმეტს ცოლისდას ჰურს აჭმევ,
ერთ ძალის შენახვაშია,
ზაფხულში ბათუმს არ აქლებ –
ფერ-ხორცს იწმენდენ ზღვაშია.
ორ ფრონტზე იქნევ სატევარს,
ცოლ-შვილთანა ხარ ზავშია.
ცხოვრებას ისევ მიჰვები
რო ნიშა ხარი კვალშია.
ლექსებით იცი შინშისად,
მოკითხვა სალამ-ქალამი,
შენ ჩემ ერთ წანალ გაჯვირვებს –
მე შენ დამდევარ ქალანი...
ჯეილ რო ვიყავ, მეც მყვანდა
მნოლელ-მდგომელი მრავალი,
მაგ საქმეში მეც მივიღე
დროშები გარღამავალი...
შენც დაგიდგება ერთი დრო –
ალარ გაგივა ფართხალი,
როცა ორ დედალ ნამატით
თავს დაგადგება ქაქანით,
მაშინამც შენ თავ მანახა,

* ცოტნემ ცოლისდები, ცოლ-შვილთან ერთად, ზღვაზე გააგზავ-
ნა დასასვენებლად და ჩემთან დაიკვეხა, თანაც ამბობდა, რომ
ბევრ ლვინოს იტანს და ვერავინ ათრობს.



შინშებ რადამ მალექსებენ

შენი ნაფრენი-ნაკვალი,
აქეთ დაგრჩება ნაქისტარს
გროზნო, შალი და ხანჯალი.

ჩვენ ორის გადაძახილში
ვინც ვერ იქნება მართალი,
იმის ცოლეურთ ფარიებში
ჩვენ რემბო იყოს სარქალი.

12.08.2010

პასუხი ცოტნე ალბუთაშვილს
წოწეოლაურების გალექსებაზე

წოწეოლაურებს შაგვადგა
სალექსოდ ალბუთაშვილი,
მე მაგის ყბაში ჩავარდნა,
მწარედა მაქვის დაცდილი,
ეშმაკად დაბადებული,
საგმის ჭალაზე გაზრდილი,
მაგის გაცნობას მერჩივნა
გამამსევიყო მატილი.
ჩემ ბიძაშვილი სწვევიყო –
კაც ანგელოზთა ნაწილი,
თურმე აისრე დაათვრია,
არ შარჩა გონის ნაწილი,
კერაჩი მოფსმას აბრალებს –
ეგ ხო ჭორია ნამდვილი,
ეგათ თავმოჭრას მერჩივნა –
მენახა შარვალგახდილი.

3.10.2010



სტუმრობა ცოტნე ალბუთაშვილთან

კვირას ფელიდათას გაველ –
გავიხსენე ყმაწვილობა,
გამიჯვირდა ჩემ-შინშისა
ქეითი, ხელგაშლილობა,
ერთ-ორ ლამეს შამინახა,
მიქო ზნე და გარჯილობა,
კინალ მუშაობით მამჟლა,
ეგ თუ არი მასპინძლობა,
ვერ გავიგე, ვის ფერია
საითქე აქ გახრილობა,
ორი დღეა პირქვე ვწევარ –
არ გავიდა დალლილობა.

16.11.2010

შინშს ახალ წელს

შინშო წელიწადს მოგილოცავ,
ალალ გულით, გონებითა.
შენი ოჯახი აივსოს
დოვლათით და ქონებითა.
ლაშარის ჯვარმა გიცოცხლოს,
უმცროსები სწორებია.
ყველა კარგი ვერ იქნება,
შიგ კი ზოგიც ყროლებია.
იახსარმა აგაცილოს
მითქმა-მოთქმა ჭორებია.
მამა-ლმერთი მექვლედ გყავდეს,
გაგიმრავლდეს საქონია.
მინდა ბევრი დააგროვო
ერბო, დამბალ-ხაჭონია,
ლარიბ კაცის ფიქრი დავწვი
შენი ჩემთვის ნაქონია.
რა ვქნა, მაინც შენი ძმა ვარ,
ხან მრუდე ვარ, ხან სწორია.
ეგაც ზომით გაგეზარდოს,
რო გყავ გვერდზე მამწოლია.
ბალლიც ხო ნებით გაჰმართეთ
ჯალატეთით არ მაჰყოლია.

1.01.2011

ცოტნეს

მე ჩემ შინშს აღარ ვენდობი –
უნდა შავქმნა კომისია,
ვერ გავიგე მე სისწორე
სიმართლის თუ ჭორისია.
ლვინო – არაყ გაგვითავა,
რა ეშმაკმა მოგვისია,
ააც დაბერდა, ვერ ისწავლა
წესებ ქალთან წოლისია,
ყველგან ბალლებ დააკეთა
გიო, მათე, ბორისია.
სამი-ოთხგან სახლს აშენებს
ჰატრონ ორის ცოლისია,
მანქანით მთვრალ გადავარდა –
ყიდვა უნდა ჯორისია,
ვეღარც კი ვისმე აშინებს
ლრენა ბებერ ლომისია,
დავარიგებ, აღარ მისმენს
წერთნა დავწვი ყროლისია,
ბრძენის ჭკვა თუ არ ექნება –
ჰქონდეს ავის სწორისია.



ჩაბანოვლებს*

თებერვლის ქარი ბობოქრობს –
არ გაისვლება გარეთა,
ვათვარიილებ მიღამოს,
ფიქრებს მივლ-მოვლევ მწარესა.
რამდენჯერ ჩაბანოვლებმა
მოკითხვა დამიბარეთა.
ხან სამავნეო მიგზავნეთ,
ლექსითაც გამამწერეთა,
ხინკალზე შამამიარეთ –
ჰირში ანტრია მჩარეთა,
ე, მაშინ ცალგულები ხართ,
ლვინო – არაყს რო დალევთა,
არც საქონ გაგახსენდებათ,
არ იყურებით გარეთა,
თქვენ ფეხი ვერსაც იყიდეთ
ქვეყანა მაიარეთა.

2011 6.

* წაკითხულია თბილისში, ფშაური პოეზიის სალამოზე



ნუგზარ ჯიმშიტაშვილს, ყორია კოჭლაშვილს, უშანგ ჯიმშიტაშვილს*

ნუგზარა გადამექიდა –
უნდა დავლიოთ სასმელი,
მე კი ვილანძლე, ვეჩხებე
არა გავუშვი სათქმელი:
– თუ კიდევ სასმელს მიხსენებ
არა ვარ ფეხის მამდგმელი,
ძმარ-ღვინო დამლევინა –
გაუწყრეს თავის გამჩენი.
მაგისა ვერა გავიგე –
ხან უჭერ არის, ხან ბრძენი,
ხუთი- ექვსი ჰყავს წარალი,
ალარ ადგება საშველი.
უშანგა აღმასკომია
გაჭირვებულის დამცველი,
ყორია კი მასწავლებელი
ბევრ ახალგაზრდას გამზრდელი,
სიმთვრალით ძროხა დაკარგა
კაცი არ არი მნახველი,
მარიამ იწყევლებოდა:
– გათავდეს მაგის სახელი.

2013 წ.

* რაკითხულია თბილისში, ფშაური პოეზიის სალამოზე, პროფესიონალის
სასახლეში

ნუგზარ ჯიმშიტაშვილის [ბირკა] ლაბალების დღეზე

სამოცი წლისა მაჟყრილხარ –
გულით გილოცავ ძმობამა,
ვაჟაის სულის ცხონებამ,
იქსო ქრისტეს შობამა.
ვაჟი ხარ უბერებელი
ვერცწა დაგაულო მტრიბამა,
თმაში ჭალარის გარევამ,
სიბერის წამოლგომამა,
ხალხში ჭორების სიმრავლემ,
ტყეილად კაცის გმობამა,
ცხვრების ორომტრიალმა,
ქვეყნის უკულმა წყობამა...
დალვინების დროს დაფვომამ,
სამოცჯერ სთველმა რთვლობამა,
მთაში ზვავების ქეხილმა,
ალდგომამა და ბზობამა,
სამოცჯერ ვარილობის თვემა,
ბარში ყვავილთა ჭენობამა,
დარჩენამ სიმარტოვითა
შვილების ჰატრინობამა.
გულის დაღალვა კი იცის
ობლების კვერის ცხობამა,
ნეტა არ შაგაძირწოლა
ორის წაწალის წყრომამა,
ორად გაყოფამ გულისამ –
მაგათმა ზომვა-წონვამა,



შინშებ რალამ მალექსებენ

რატო არ იცის მოწყენა
ქალის ალერსით ტებობამა.
არც არა შენ მოგიტანა
სომხებთან მეგობრობამა,
ძმა იმას დაგარიგებდა –
სულს არ აჯობოს გრძნობამა,
სამოც წელს კილევ გაცოცხლოს
ჩვენის ბატონის ყმობამა.

ქეითი ჩაბანოში

უშანგასა აქ ქეითი
ტოში თოფივით ტყვრებოდა,
ომი ხვარ არი ნეტარა,
ქალაქს შუქები ქრებოდა.
ასდილებიათ საგამი,
ცოტა ქეითსა სცდებოდა,
იქნება გემი გეყიდათ –
თქვენ სოფელს წაალგებოდა,
კოჭლაშვილ კაპიტან იყოს,
ბირქა შტურვალთან ჯდებოდა,
ჩემ ძმა ფარსაღანს სასმელი
აროდის გაუწყდებოდა,
გეშველებოდათ მაშინა
გზა რო გექნებათ სავალი,
კი ვიცი ჩაბანოვლებსა
ან არაყ დაგლევთ, ან წყალი.

ჩაბანოვლებს

შაგვყარა დამბალებელმა
ქისტი, ბირქა და კვესია,
ამათთან რაღა მინდოდა –
ესეც თუ უფლის წესია,
ეს დაბალხაჭო ფშავლები
საიდან გადამესია,
ვერ ვატყობ ჩაბანოვლებსა
რომელი უკეთესია.
ქისტი მალლიდან მიყურებს –
გაიდრიცება წელშია,
ბირქა კი ისითა არი,
როგორც ნატირი ტყეშია,
ხან ისე გამაჯავრებენ,
ვერაფრით ვარჩევ მტრებშია,
მაგათ ის ხვარა ჰეგონავისთ,
არავინ მიწევს გვერდშია.
დალიან გადამბულები –
დავწვი მაგათი მწყემსია,
უკანავ დაუბრუნდება,
რაც ჩემთვინ დაუთესია.



ჩაბანოვლების შეშობანა**

გახდა ჩაბანოს ტყეები
ნაკაფუ-ნაჭერი ხერგილი,
ყორამ თქვა: ბებერტა ვარ –
მე ხო შეშობას ვერ ვივლი,
ჩემ ძმობილ უშანგა მყავის
მეშეშეც გამობრძმეცილი,
შამააბლუვლებს მანქანას
კუზაო შამოძეძგილი
მოალის, კოტრებს დამიყრის
ამაყი, წელგაბრექილი.
თურმე ზომაში მაყლებენ
მამა-შვილსა აქ ერთ ჰირი,
მოსულან ქალაქილანა,
მოსამართლე და ვექილი,
ნუგზარა დინჯალ მიც-მოდის
როგორც უიდსონ ჩერჩილი,
უკან ნაქისტარ დაჲყვება
ედვარიცთან გამოჩეჩილი.
სამართალს ვიზამთ-ჸუკებნიან –
რახან საქვეყნოდ ვერ ჩივი.
ყორა კი იგინებოდა
შამცივნულ-გამობოლვილი,
მაგათ სამართალ კი დავწვი –
სოფული მაგათ მოვლილი,
ეგეთ შეშობას მერჩივნა –
კიდევ მეყიდა ორ ვირი.

* მოლექსე გიორგი (ყორა) კოჭლაშვილს მამა-შვილ ჯიმშიტაშ-ვილებმა შემა მოუტანეს და ზომებში მოატყუეს.

სტუმრობა ყორა კოჭლაშვილთან*

ფშაურ სიმღერა ვერა სცნობს
დო, რე, მი, ფას და სოლასა,
ფშაურ სიმღერას ვასწავლი
ანტრიეებზე ყორასა.
ისეთ გემოსზე კი ვჭამე –
მითომ მოჰქონდა სონასა**
უყოლიბოვა ჯობნილა,
ეგეთ შეგირდის ყოლასა,
იმთვენა არაყ მასმია –
ლამის ყურშიით ყონავსა.
დავათვრეთ მასწავლებელი –
ცოტნე სიცილით გორიავსა,
განა ვუარობ – ყრილ კი ვარ,
ვერ ვიგებ ზომა-წონასა,
თანაც სალექსოდ შამალგნენ –
მყველრიან ქალთან წოლასა.
ნუგზარაც მაგათ ამყოლი
ფუტურასავით ბოლავსა,
არ მღერის, ნეტა სიმამრზე
როდის მორჩება გლოვასა,
მაგას ცალკე ხვარ გაუხსნი
ფშაურ სიმღერის სუოლასა.

ჩაბანო

* 2012 წელი, ჩაბანოელმა მოლექსეებმა მიმიწვიეს ფშაური სიმღერის სასწავლებლად. მთელი ტამის განმავლობაში ვიმასწავლებლე, მაგრამ ვერ ისწავლეს, მეც დავთვერი და ჩამეძინა.

** სონა – დედაჩემი

სიტყვას

შაგბელავ

სიტყვას შაგბელავ

* * * *

ცოტნე ალბუთაშვილი
ნორარ ოდიშელიძე

დავათში ოდიშელიძე სისხამზე იწყებს მღერასა
ძმები მოუვლენ ლომები, მაგათამც მაჟხდის წერასა
სუფრა სხვა ყველათ სრული აქვს, ხაჭოთ მაჟხელავს ვერასა.
ადიდებს დამბადებელსა, გადაჰქორავს ნისლისფერასა.
დაჯდება, ჩაილილინებს, ფანდურს ჩამაჟერავს ცერასა
კი ვერ აყოლებს თითებსა, უშნოდ გაადენს ყლერასა.
კაცი არ არი პატრონი, შატუქსას, შააჩერასა
ან მუშტ გამართას ვინამა, შამაჟერას, შაუფერასა.
სად მაგის საქმე არ არის, იქ რაც აებნებს ენასა!
მაგრამ წესად აქვს, ყურს უგდებს დაჩაგრულთ გულის ძგერასა.
ჩაგვრას არ შაურიგდება, არ მამლის თავის ჩვევასა.
ყველა მჩაგვრელთან იომებს, არ იქამს გამორჩევასა.
ჩაბანოს უთვლის სალამსა, ცოტნესა, თავისფერასა,
სითბო, სიტყბო და ბარაქა ებედოს მაგის კერასა.
უმრავლოს მოსალევარი, თეთრი თმით დაუბერასა.
ფრანგი მაგან დაარქვა დამბალხაჭოის კვერასა.
ერთ საყვედურისაც შაჟერალრებს, მაგ ოქროსსაციქველასა
შინშობის ტალატს არ ურჩევს, მაგ ინსტიტუტის რიცვევასა.
რაად გულს არ გაიკარებს შინშის ნაღვლიან მზერასა
რაად-რა უშლის ზაურისა ნათლის ნათელის კვლევასა,
თუ ფიქრობს, კაცებს მააშლევს ქალებზე თვალის ჭერასა.

* ჩემს შინშს, ცოტნე ალბუთაშვილს სუფრასთან ჯდომისას თავის შინაბერა ნაფობზე სიტყვა გადავუქარი, რაზედაც ძალიან გა-ბრაზდა. ეს გაიგო ნორარ ოდიშელიძემ და გამოგზავნა ლექსი. ამის შემდგომ დაიწყო ჩვენ შორის ლექსით პაექრობა.

სიტყვას შაგბეღავ

დიღი ამბავი... რა მოხდა, მაიმცვრივ-მაირთველასა,
საღმე, ე ფშავის არეზე მუხლს დაჰკრას ნაბდის ძველასა,
განა ნაპირზე ჩააფხვნის, ან ძირს დაუწყებს მტკრევასა,
ლუკმა რო ჯამში ჩავარდეს, ეგ ურჩევნია ყველასა
გონით მაიქე, ცოტნეო დაჰყევ ჭკვიანთა რჩევასა.

6. ოდიშელიძე
22.01.2014

ზაურ წონქოლაურის

ცრო მიღის წონქოლაურო, ყამ გვიდგა სიბერისია
უკვე დაგვიდგა ცრო-ხანი წელთა სიმრავლის თვლისია
თუმცა ყი გაქრა ხალისი ზეცაში თესვა-ხვნისია,
მაინც არაფერს დაიშლის კიდევ გავლება კვლისია.
არ-კი-რა ხდება ისეთი, რაც არ გვსმენია სხვისია,
მაგის დასტურად ივარგებს ლექსებ ძველ მთქმელებისია,
ბაიაშვილის ჩივილი, ნათქვამი ხახონისია.

გულს ნუ გაგიტებს ძმობილო, სიმრავლე ჭალარისია.
შეადლის მერე იმატებს ძალა-სიფიცხე მზისია,
რაც უნდა ხანი მოყაროს, მუხლ არ დადგება მგლისია
ჩრდილიც ხომ დიდიზე იშლება ბერის არწივის მხრისია,
ხარს სიბერეშიც უხდება ბუბუნით გავლა გზისია,
ყამიდან ყამზე კივილი, შეძვრა მიწის და ცისია,
საამო არის სასმენად სიმღერა სიცოცხლისია.
სიტურთე გაზაფხულისა, სისრულ-სისავსე სთვლისია
ჩაგივლის, თვალს გაგაყოლებს, გულ თუ არ გიდევს ქვისია
ბერთაცა ჰმართებს ფერება ქალისა ლამაზისია.
გავიხსენოდეთ საადი, ოთხმოცდათვრამებ წლისია.
არ-თუ-რას გაფიქრებინებს ნაქნარი წინაპრისია –
საქცევს იცოდნენ დარჭობა ბებერი ხარის რქისია.

6. ოდიშელიძე

ოდიშელიძისთვის მიწერილი

თებერვლის ბოლო დაგვიდგა,
ცრემლად იღვრება ზამთარი,
სითბოსგან გამოსწორდება
საქმე ყინვისგან წამხდარი,
გული მეზევა გარეთა
გაზაფხულის მზით გამთბარი,
თვალით არ დამენახვება
კაცი უსაქმოდ გამცდარი,
ზარმაცი მუხის ყუნჭსა ჰგავ
არც ცოცხალია, არც მკვდარი.
გავხედავ ყოველ დილითა
ივრის მთებსა და სერებსა,
აქ სამოთხეა კაცისად
აბა რა დამაბერებსა,
მალე მოსულება ზოვები
ხევხვებს დაახველებსა,
გადამწვანდება მთა-ბარი
კაცის გულს მააჯერებსა,
მალე ვიხილავთ ყვავილთა
ჭრელებსა, ლამაზ თერებსა.
აყვავდებიან დეკანი –
მაჟთარვენ მთების წვერებსა,
ერეოლასა მეიდებს ტანშია
ველარ ვაჩერებ ხელებსა,
შავხვდები, მივესალმები
შინშებს ჩემსავით ძველებსა,

სიტყვას შაგბელავ

შავხვდები, მოვეფერები
დათვი რო თავის ბელებსა.
მაღლობას გიძლვნი გულითა,
მანძილა ხარს რო მაღარე,
გულსა და გრძნობას გზა მივეც
სიხარული ვერ დავფარე,
ცაში არწივად ავიჭერ –
ცა-მიწა შამოაჭარე,
სამშობლოს სადარაჯოდა
ლონე თქვენზელა დავყარე,
უფალს შავთხოვე სილალე –
დარტი და ბოლმა გვაჟმარე.

თბანეთი, 2014 წ.

ზაურ წონქოლაურის

რაც არ ამძრებიდი ივრელო, რაც-რა მამბზარე ლექსითა
შენაც ხო არაგველ იყავ მოდგმით, ძირით და ფესვითა
სუყველა თიანელ გახდით, ვინც ივრის წყალი შესვითა
ჯვარ-ხაჭის კალთას მამწყდარნი კი იგოხებით სეტყვითა
ყურ მიგდეთ გონში ჩაგაგდოთ ერთს მართალ სიტყვას
გებყვითა

ლომი ბებერიც ლომია თავის ლომობის წესითა
არ იქამს ქედის მოხრასა, მტერთ კი გაავლევს კვნესითა
ფიქრიც არა აქვს არაგველს, ისარს რამდენი ესვრითა,
მოჰკივის წეთისოფელსა ნახემსებ ქორის ხემსითა
მაგას ვერაფერის დააკლებთ, ძაან კი ჰმაგრობთ ერცხვითა
თქვენ ლექსებ ეგრე ალონებს, ხარს რო უჩხვლიტო ნემსითა.

6. ოდიშელიძე

სიტყვას შაგბელავ

* * *

რას მეორჩით არაგველებო –
რას ამამიგდეთ ჭირითა,
ჩემთვინ ლექს დაგიბარებავთ
შაფხხიანებულს ლვინითა.
გადმამცა გუდამაყრელმა,
მიამბო თავის პირითა,
მეც მაგ წყალ-ჭალის შვილი ვარ –
განა მოსული ქირითა.
მთიულის დედის ნაშობი –
ფშაველი ფუძით ქირითა
არა ვარ შავად ნაშენი –
თეთრიად ნალები კირითა.
მეც თქვენის ჯოგის წილი ვარ
შვილებით, შვილიშვილითა,
ბევრი კი გავხსენ საყელო
შაკრილი წითელ ღილითა,
ბევრიც ვიხილე თვალლურჯი
მზე ამოსული დილითა,
ვერ კი მოვიგე ძმობამა
წაწლებთან წოლა-ძილითა.
იმდენ გონი გვაქ ივრელებს –
წყალ არა ვზიდოთ ცხრილითა,
ეხლა კი მენაც დავბერდი –
სული მიჭირავს კბლითა,
შავჭამე წეთისოფელი
ჩემი სიცოცხლის წილითა.

თიანეთი, თებერვალი, 2014 წ.

სიტყვას შაგბეღავ

* * *

დაბალების დღეს გილოცავს,
ივრისპირელი ქვესია –
შავთელის დარალ შაგაქებ,
ამ ღროვის აბლულმესია.
მოვალ, დაგლოცავ ყანწითა –
რაც მამა-პაპათ წესია
ვიცი, იმ ლვინოს შამასმევ,
რომელსაც უკეთესია.
ბებერ მგელი ხარ ტოტია,
რო შავარდები ტყეშია –
საცოცხის ჭრაში გიყურე
ცელი გეჭირა ხელშია,
ძოლან წანალთა მოგასწრეს
შრომის დროს თიბათვეშია.
ხან ძალებს დეეგლეჭინე,
ხან გადავარდი ხევშია –
ნაქებ ტელეფონ დაჰქარგე
რო წახველ ძროხის ჯერშია,
დედას არაყი მოჰპარე –
გადამალული სხვენშია.
მე ხო მაწეხებ ლექსითა,
ველარც კი გარჩევ მტრებშია,
მაინც შენთანა ვმეგობრობ –
გამორჩეულად სხვებშია.

* 6.ოლიშელიძის დაბალებიდან 60 წლის იუბილე

სიტყვას შაგბელავ

* * *

სამოცი წლისა შევსრულდი, ვიქეც სოლომონ ბრძენადა.
ზეცას ნათესი ყანები დავყარე მოუმეულადა.
(აღრინდელ ხვავიც მეყოფა, დიდხანს გამყება ძველადა).
დაბადების დღეს სტუმრებთან ჩემოვჯე მოსალხენადა.
შეა ქეიფში ვიყავით, კვესამ დამკვლივა ცერადა.
ლექს მითხრა პირმოცინარმა, ცისკარივითა ელავდა.
გადმოალაგა „ბრძნელები”, რითმებით გააფერიადა.
დავფიქრდი, შოთაის მერე ვინ გვყავს ეგეთის მთქმელადა?!
ავწონ-დავწონე ცხრაჯერა, დავსახე ვაჟას ფერადა.
გავლა-გამოვლით ტატოს ჰერა, კაცი გაარჩევს ძნელადა.
გვეამაყება, ვაფასებთ, როგორც ჰომეროსს ელადა.
დანარჩენები არ ვლირვართ მაგის თმის თითო ლერადა.
აწებებს ტყუილ-მართალთა, ჩემს ლაფში მოსასვრელადა.
(დიდი კი უდევს სავალი ჩემამდე მოსასვლელადა).
ვაჟია ნაცალ-ნახადი, ცნობილი ბებერ მგელადა.
ეგ რო არ გვყავდეს, ქვრივებსა უბეთ ვინ დაუხელავდა,
ვინ დადგებოდა უცხო მჯვდრის საფლავზე ლამის
მთევლადა.
დეკალს ტანზე მორგებულ პალტოს ვინ შეუკერავდა,
ვინ დასთუთქავდა ცხვირ-დრუნჩსა, თეთრიად ვინ
შეუფერავდა.
გელს აწყდებოდნენ შინშები, ორივ ძანა ლელავდა.
მითხრეს – იქნებ რამ გვიშველო, შაადგე საწუროვნელადა,
წაწლებთან წოლა-ფგომითა ტვინ ექცა კაკლის ხელადა.

სიტყვას შაგბეღავ

კი ვიცი, ბებერ ფშაველი გაიწუროთვნება ძნელადა.

წუროთვნას ის უფრო შაიხდენს, ბაბრი რო დავა ველადა.

მე კი ვცდი, მაგრამ შედეგი ძნელია გასარჯვევადა.

მეყოფა წუთისოფელი, მაგის გონთ მოსაქცევადა?

6. ოციშელიძე

სიტყვას შაგბელავ

* * *

შენ გაჭირვება გავიგე –
ძმაო, დამეცა თავზარი,
გულმა ლონება დამიწყო –
მიწამ ფეხებში ზანზარი.
ფურმაც სალექსოდ გაგხადა,
თავს რას იყლავდა საწყალი,
რა ლაგარიგა დედამა
როცა ჩაგიდვა საგზალი?!
არ გითხრა, დაიკარგება
საქონ უწყემსოდ დამრჩალი!
კი არ მიწყინო, ძმობილო,
რო შემოგჟადორო მართალი,
შენ და მწყემსობა ისე ხართ
როგორც მუქო და ჩარგალი.
დასდიხარ დალონებული,
როგორც ნაჩეუბი მამალი,
მეც გიზიარებ წყენასა –
როგორც შენი ძმა ალალი.

აგვისტო, 2014 წ.

* ნოდარ ოდიშელიძეს dროხის ჯერში თვითონ რომ იყო, თავ-ისი ძროხა დაკარგა. dროხამ ბევრი სიმინდი ჭამა, ვერაფერი უშველა და მოუკვდა.

ზაურ წონქოლაურის

ძმალ დაგიგულე ზაურო, უძმო დავდივარ ცალადა.
ვიფიქრე, ვუძმობ-მეძმობა, დედმამიშვილის დარადა,
ჩემზეც თუ მტერი წამოვა, წინ დამიდგება ფარადა.
ბრძენიც შესცდება ერთხელა, მეც მიფიქრია მცდარადა;
აგილესია ცალკარი, ჩემ ბეჭში დასაკრავადა.
ადგილ-მამულის პატრონი, ოფლის დამლვრელი
ლვარადა,
როგორდა იცლი ჩემ სამტროდ ლექსების სახლართავადა?
ეგეთ რა ჯავრი გვინდება, რო მამლექ ჩასანთქავადა.
ძროხის სიკვდილი მილექსე, გამილე, დამდე შარადა.
ბევრ ჭამა, ვერ მოინელა, განა მე მოვკალ ძალადა.
სხვასაც, ბევრს, მუცლის მონასა, გასთენებია შავადა.
ძალუებს გაუვეზირე, მე კი ნუ მიმზერ ავადა,
მსხმოიარ ქლიავთ რო სთხრიან სხვა ადგილს
დასარგავადა.
რას იქამ, ჩემთან ლექსობა ძნელია თავისთავადა,
ლექსებ მიცავენ ძმობილო, რვალივით შეუვალადა.

6. ოდიშელიძე

სიტყვას შაგბელავ

* * *

სიზმარში ეშმაქსა ვხილავ –
ჩემს სულში ითხოვს ბინასა,
არა მშორლება წყეული
თავზე მაფება მზირასა...
თუ არ მოგივა მეულლე,
მალელავ შაგროთავ ნინასა,
მალელავ გიქამ ქორწილსა,
ჰეტრე-ჰავლობის კვირასა,
ქალისძმა ჰეტინ იქნება,
ცოლს მაყოლებს ინასა,
ეჯიბი მარგველაშვილი,
იძახდეს „ჯვარი წინასა“,
იქნებ ქორწილში დაზავდნენ,
იმსჯელონ განაპირასა.
ოდიშელიძე მყეფრადა,
სანაწეოზე სწირავსა,
წავალ, იორზე დავდგები,
და იქ დავიდებ ბინასა,
იქავ ვილოცებ ხატშია,
გვერდს დავიყენებ ნინასა,
ბევრებ იქნება შვილები,
დამმარცხებელი მტრისია,
აღარ ვავლიოთ ყვარისთავს
რაზმები ლექებისია,
არ ელირსებათ რჩელძალლთა,
ნოტოს გარეავა ცხვრისია.
ხან ვიტყვი გონს ხვარ გადავედ,
იტყვიან ავი ზნისია,

სიტყვას შაგბეღავ

რა დროს ჩემ ცოლ-შვილობაა –
ქვაც დადნა ჩემი ხნისია.
ყველა ერთ მიწაზე ვსახლობთ
ბძენი და თხელი ჭკვისია,
გაბრზყინდეს ჩვენი სამშობლო,
ეს არის ჩემი მისია.

ზაურ წონქოლაურის

გონს მოდი ივრისპირელო, ეშმაქს ნუ ემსახურები
ისმინე კაცის ნათქვამი, ვითომ გასხია ყურები
ჩვენს წაკიდებას ლამობენ ზოგ-ზოგი მანდაურები
კი დაგვცინებენ, თუ გვნახეს ერცხვაზე დანამდურები
მე ჭკვიან სიტყვას გაშველებ, შენ სხვაგნით გაიყურები
კარგი მაშინ ხარ როცანის კარგ საქმეს დაეშურები
მიჰეც-მოჰეცე წაწლებსა ხვარ გყვანან გულნაკლულები
მალე მიუდი, ეგრე ჰქენ, არ დაუჩაგრო გულები
რას იქამ უნდა არჩინო იმათი სულის წყლელები
ლვერათ ჩონქარასავითა შაჰპირი შაუსრულები
ხელის შევლებაც სჭირდებათ, რო არ დაუსკუდეთ ცურები
სიბერით, თვალის კლებითა, ხვარ გიმრუდლება ხნელები
ქალებმ ხვარ აგიჩოლბორტეს, ხარს ხო არ გჩხვერენ
ფურები
ხვარ ჩაგიყარეს წყალშია ადრინდელ ნამსახურები
უძმო არავის ეგონო, უფერებ გკალონ თქმელები

სიტყვას შაგბელავ

გადმოვალ მოგიგერიებ შებლზე ოფლდანაპკურები
ეგეთას დლეში ჩავყარო ვაწინჯნო ქაწაწურები
სხვათრივ უფალი გფარავდეს, სიქეთე მოგცეს ულევი.

6. ოდიშელიძე

* * *

მაისის დილა გათენდა,
მზემ გამოგზავნა სხივები,
ქვეყნის ვალს იხდის ბენება,
ასრულდა დანაპირები.
ლამაზად აყვავებულა
ჩვენი წყალ-ჭალის ჰირები,
ხან თოთვით ტყეში გავივლი,
ხან სახლში მივეხირები.
ყარგი ჰირი აქვს მოსავალს,
ვთალე ლობიოს ჩხირები,
გადავკრავ წინწანაქარსა,
სალექსოდ დაველირები.
დღეს ხელთ მოიგდე მასალად,
ამბავი გასაცინები –
არაგველ ძალლს დაუგლეჯავ,
უკან გაუკრავ ჟბილები,
ექიმს ნემს გაუკეთებავ,

* წაწალთან მისული ოდიშელიძე ძალლმა დაქბინა

სიტყვას შაგბეღავ

გაუხსნავ შარვლის ღილები.
უბრძანავ – სასმელს ვერ დალევ,
თორემ ცოფს შეეწირები!
მას შემდეგ ფხიზელა დადის,
საქმე ქნა გასაკვირვები,
ძალლსა და პატრიონს ლოცავენ
მაგის ცოლი და შვილები.
მეც მამისმინე ძმობილო
ვფიქრობ, არ გაგიკვირდება,
ლვინო მე მამიტანოდი,
შენ მაინც არა გჭირდება,
დავატრიალებ ყანწებსა,
ამოაჩქამებ ენასა,
აგიხსნი ფუტკრის კბენა სჯობს,
ცოფიან ძალლის კბენასა.
სიბრძნე მაქ ნასრელინისა,
სიღინჯე ბებერ ვაცისა,
ფუტკრებთან ომი შე, ყროლო,
განა ლექსისგან დამცლისა.
გავსივდი, ისევ დავცხრები,
ეგეც წესია კაცისა.
უნდა გასრავლოთ არაგველთ
წესები სიმამაცისა.

ზაურ წონქოლაურის

მოგესალმები ივრელო, სალექსოდ დანაღირები
ლექსითამც აყვავლებიან ივრის, არაგვის პირები
ლექსამც ადენენ ცხარესა საარყე ქვაბის მილები
ხენიმც ლექსს გამაისხამენ, რითმებით ნაყვავილები
კაცნიმც ლექსს შაიყვარებენ, დედას რო უყვარს შვილები
ჩვენ ხო ლექს მედამ იქ დაგვხვდა, საცა წავყვავით ცხვირები
შენ დაგარუმბა ფუტკარმა, მე ძალლმა გამკრა კბილები
ვალექსეთ ერთიმეორე, სიტყვები ვხარჯეთ „ტქბილები“
ორ ყვავ მამვონდა ძმობამა, ერთურთის დასაცინები
მუხლს მოგირჩინოს უფალმა სუ მალლა შავიმზირები
ისმინე ივრისპირელო, ჭკვიანის ნათათბირები
ხმელ ტახტზე მუხლის დაკვრიასა ყლოვ ნულარ დაუპირები
წანლებს აეგრე უთხროდე, ქვეშ დაგიფინონ რბილები
ნურც ქვეყანაზე გაგფენენ, გონებრივ იყვნენ, ფრთხილები.

6. ოდიშელიძე

* * *

რას რა ფიქრობს ხუზაური, რო ყილულობს ჰაյეტებსა
ფუტყარ უნდა მაამრავლას, რა კარგ საქმეს აქეთებსა
თითოს დაარქვივნებს სუ თავ-თავისა სახელებსა
ყვავილი თუ ეყოფიან – თვალით დაჲყვლევს ნაკვეთებსა
აყვავებულ ბალს გახელავს ხელსათუთად ნაფერებსა
საახალწლოდ თაფლ ექნება შინშებს ჩამააბერებსა
სკაში ჩაყრას ეშურება, ხელებს ვეღარ აჩერებსა
გზად რად უხვევ, თავისაო, მეფუტყრეთა ნაჩვენებსა
ნამგზავრ ფუტყარს არვინ ჰელავს, სანამ არ დაასვენებსა
ცოტა კიდევ მაითმინე, ჯერ ნე შაჲგლეჯ საკატებსა
არ დაიშლის ხუზაური – ბევრს შავყრივარ აგეთებსა
დაესია ფუტყარის ჯარი, აცეკვეს და ამლერესა,
თავი ხოკერს დაუფერეს, ბალამწრისგან ნაკეთებსა.

6. ოდიშელიძე

* რაიონში რომ გადავედი საცხოვრიებლად, ფუტყარი ვიყიდე

სიტყვას შაგბელავ

* * *

სადა ხარ ოციშელიძევ,
არ მეძრახები ლექსითა.
მაგას დათვრთხობას ვეძახით
ჩვენის მთქმელების წესითა.
აგანთებ ძველებურადა
ცალით აბედით კვესითა
ებრძოლებოდე წერასა,
ერთის წვალებით კვნესითა.
თუ არ მამიხვალ სტუმრადა,
მოგივალ კოჭლის ფეხითა,
ხაჭორინბოთი გამძრარი,
ფშაურ სიმღერის ჭექვითა.
შამამისხდება ქვრივები
გათქვეფილს ძროხის წეხვითა,
თუ გვერდით არ დამიზვენენ,
ხო შაუმერები ფეხთითა.
ფუტკრებთან მეომარი გწერ
თავს არ შაგაწყენ კვეხნითა.
ხო იცი თავად კვესი ვარ,
ტალმ ვერ გამცვითა ხეხვითა.
ბებერსა ვგევარ მუხასა
სამჯერ გაჩეხილს მეხითა.
ვერ ვიგებ სიბერის დროსა,
ამ ქალებს რალას ვებრძვითა.

* რაიონში რომ გადავედი საცხოვრებლად, ფუტკარი ვიყიდე

სიტყვას შაგბეღავ

თავსა და ბოლოს ვერ ვუგებთ
ხითათსა ვრჩებით ბეწვითა.
ნაწალთან მისვლამ ერთხელა
შენ თავსაცა ქნა ბოინი,
არ გაგონილა ყურითა
ქალისგან ესეთ ოინი –
კინალამ ძალლს შეგაჭმია
კაცი საფეროდ მისული.
ერთ წელს იგლოვე ნაჟბენი
ისეთი გიყვა კისრული.

ზაურ წონქოლაურის

„გაპევირდა გუგუდაშვილი ამ მიხეილას ფარასა
მუხრანის ველზე ჩამოლგა, ზოვის ქაფივითა ქანავსა“.
ხალხური

მტერი მყავს დაუძინარი მაგ თიანეთის მხარესა
კვესას ეტყვიან სახელად ენაეჯლიანს ფშაველსა,
გაიდრიცება წელშია, თავს მააწონებს ქალებსა,
ერთურთსა სწყვეტენ ქვრივები, ეგ თუ სამ დასტყვრიცე
თვალებსა.

გარს ეხვევიან გუნდადა, როგორც ვარსკვლავნი მთვარესა.
ირჯება საარაკოდა, სუ ოფლითა რჩყავს მთა-ველსა,
ედემად აქცევს ხრიოქსა, თუქი ხელს დააკარებსა.
დაბლა არ ჰყოფნის სახნავი, მატლაცა სთესავს ყანებსა.

სიტყვას შაგბეჭავ

ძლივს იტევს დიდი შირაქი მაგის ჩლიქბმულის ფარებსა.
მთისკენ რომ შემოუდგება, ათეთონებს ივრის ჭალებსა,
გზები იყვრიება ყველგანა, ეგ რო ცხვარს გაატარებსა.
ჰლონავენ მანდაურები, ვერ ჰესნიან ეზოს კარებსა.
მაჰგონდათ გუგუდაშვილი, აიმას შეადარესა.
-ცხვრის ტრასებ ცალკე ააგე, ქუცნაშვილს შეუთვალესა.
სუ კაის ყოფით აივლის არტნის ჩირიდილს და მზვარესა
თვალი ქვრივთაკენ უჭირავს, გეზი – ბორბალოს მხარესა.
შამამელექსა ბეჩავი, ჩემთანა სინჯავს ძალებსა.
რად არ ასვენებს უფალი, რად სტანჯავს, რად აწვალებსა.
არ-თუ ვინა ჰყავს დამრიგე, რო აუხელდეს თვალებსა.
ბევრი მიწურთავ ეგეთი, ზოგ-ზოგთ ნუ შემადარებსა.
... არ ებადება მბლავანი, სანამ ორ ჭიქას დალევსა.

6. ოდიშელიძე
31.10.2014

სიტყვას შაგბეღავ

* * *

მალექსებს ოდიშელიძე
ვერაფერს ვახდენ თმობითა.
მიგზავნის მწარე წერილებს,
ძილს მიურთხობს ლამღამობითა,
თან სიღარიბეს მაყველრის
ქვრივებთან წოლა-დგომითა.
ნაწილი ხო მყავ მაინცა
ძროხის ჯოვის და ფარისა,
მწყემსი მწყემსია მაინცა
წაწლებისა და ცხვარისა.
ხო ვიცით – ვერავინ შასძლო
გახსნა სამარის კარისა.
გუგუდაშვილიც იქა წევს,
სადაც ჩვენ მიგვეჩქარისა.
შოთა არ იყო მდიდარი,
მგოსანი მეფის კარისა,
ვაჟაიც უქონელ იყო –
ტოლს არ უდებდა არვისა.
მთქმელი სიმდიდრის მძებნელი
დამლუპველია თავისა,
ადრეც გირჩიე ბევრჯერა,
ეხლაც მთქმელი ვარ ამისა,
არ უნდა გახდეს მიზეზი
ჩვენი სამუდმო დავისა.
უნდა ისწავლო გარჩევა
არწივისა და ყვავისა,

სიტყვას შაგბელავ

მე მგონი, არ დამჭირდება
შამოცმა ვეფხვის ტყავისა,
იცოდე, სწრაფი კალმახი
ხშირად მსხვერპლია ღლავისა.

ზაურ წონქოლაურის*

